



ფინანსური აუდიტის ანგარიში

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამტკიცებ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსი
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

[Handwritten signature] კახაბერ კირთავა
25 ნოემბერი 2024 წელი

N 32/36

ევგ.: N1

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური
ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო
ორგანიზაციების 2023 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ნაერთი
(კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგების
ფინანსური აუდიტის ანგარიში

შინაარსი

ძირითადი ნაწილი

ტერმინები და შემოკლებები	2
ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	3
მოსაზრება	4
1. პირობითი მოსაზრების საფუძველი	5
2. სხვა გარემოებები	10
3. ხელმძღვანელობის და აუდიტორის პასუხისმგებლობა	11
ფინანსური ანგარიშგების ფორმები და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	13
კონსოლიდირებული ერთეულები	90
საკონტაქტო ინფორმაცია	92

ტერმინები და შემოკლებები

ა(ა)იპ – არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი.

ინსტრუქცია – საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ ინსტრუქცია.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგება.

მთავრობა – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა.

სსბასს – საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი (IPSAS).

საბიუჯეტო ორგანიზაცია – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაცია.

სამინისტრო – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტრო.

საავტომობილო გზების დეპარტამენტი – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზების დეპარტამენტი.

ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

შპს – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილებები განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციით, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით, საქართველოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტებით. კანონმდებლობის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკას აქვს განსაკუთრებული უფლებამოსილებები, ასევე ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის, ტურიზმის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული პოლიტიკის, გარემოს დაცვის სფეროში, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით არ მიეკუთვნება სახელმწიფო ხელისუფლების განსაკუთრებულ უფლებამოსილებას ან ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთარ უფლებამოსილებას და რომლის განხორციელებაც საქართველოს კანონმდებლობით არ გამოირიცხება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილებიდან. აღნიშნულ უფლებამოსილებებს ახორციელებენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციები. უმაღლესი საბჭო ყოველწლიურად სრული შემადგენლობის უმრავლესობით იღებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის შესახებ კანონს. მხოლოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეა უფლებამოსილი, უმაღლეს საბჭოს წარუდგინოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტი. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში, სარგებლობს ფინანსური ავტონომიით.

ცხრილი N1. ინფორმაცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების შესახებ

დასახელება	დაზუსტებული ბიუჯეტი	ბიუჯეტის შესრულება	შესრულება (%)
შრომის ანაზღაურება	53,705,360	52,235,739	97,26
საქონელი და მომსახურება	76,900,427	70,630,788	91,85
პროცენტი	947,182	859,357	90,73
სუბსიდიები	14,032,192	13,131,255	93,58
გრანტები	217,996,16	210,264,02	96,45
სოციალური დახმარება	45,987,114	45,680,268	99,33
სხვა ხარჯები	32,892,052	30,077,047	91,44
არაფინანსური აქტივების ზრდა	122,020,311	101,244,703	82,97
ფინანსური აქტივების ზრდა	-	-	-
ვალდებულებების კლება	8,170,635	8,155,613	99,82
სულ გადასახდელები	572,651,437	532,278, 785	92,95
ნაშთი წლის დასაწყისში		45,706,204	
ნაშთი წლის ბოლოს		55,990,332	

2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებს შორის სხვაობა შეადგენს 10,284,460 ლარს. შედეგად, 2023 წლის ბოლოს ნაშთის სახით დარჩა 55,990,332 ლარი.¹ გეგმის შეუსრულებლობის ძირითადი მიზეზი სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვა-განხორციელების პროცესში არსებული ხარვეზებია.²

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების ხელმძღვანელობას

დასკვნა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

მოსაზრება

პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების¹ (ერთად – ჯგუფის) ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ფინანსური შედეგების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილებების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ბიუჯეტისა და ფაქტობრივი თანხების შედარების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ განმარტებით შენიშვნებს,² მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი დასკვნის აზრით – „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შედეგების გარდა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სათანადო საფუძველების³ შესაბამისად.

¹ ძირითადად აუთვისებული დარჩა „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლში 20,775,608 ლარი და „გრანტების“ მუხლში - 7,732,147 ლარი.

² რესპუბლიკური ბიუჯეტის შედგენა-შესრულებაში არსებული ნაკლოვანებებისა და გაცემული რეკომენდაციების თაობაზე იხ. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ანგარიშზე, ვებგვერდი: <https://www.sao.ge/ka>

³ იხ. დანართი „კონსოლიდირებული ერთეულები“.

⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 4 თებერვლის N24 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ“ ინსტრუქციის მუხლი 17, შენიშვნები 1-დან 21-ის ჩათვლით.

⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ ინსტრუქცია.

1. პირობითი მოსაზრების საფუძველი

1.1 გრძელვადიანი აქტივები

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „გრძელვადიანი აქტივების“ ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 3,302,534,760 ლარს, მათ შორის, „ძირითადი აქტივები“ – 822,453,500 ლარი, „გრძელვადიანი ფინანსური აქტივები“ – 260,307,880 ლარი, „არამატერიალური აქტივები“ – 2,948,960 ლარი და „სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივები“ – 2,216,824,420 ლარი.

1.1.1 გრძელვადიანი აქტივების აღრიცხვა

• კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ არის ასახული საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები და შენობა-ნაგებობები, რომლებიც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაა, მათი სარგებლობაში პირველადი გადაცემა არ განხორციელებულა და არ არის შეფასებული. კანონმდებლობის შესაბამისად,⁶ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელით ფლობს, მართავს და განკარგავს ქონებას და ახორციელებს ქონების მართვასა და განკარგვასთან დაკავშირებულ სხვა უფლებამოსილებებს. შესაბამისად, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე უნდა აღირიცხოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ყველა ქონება, რომლის სარგებლობაში პირველადი გადაცემა არ განხორციელებულა. სამინისტროს ფინანსურ ანგარიშგებაში არ ირიცხება და არ არის შეფასებული არანაკლებ 1,484 ერთეული მიწის ნაკვეთი და სხვა უძრავი ქონება, რომელიც სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით⁷ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაა;

• საავტომობილო გზების დეპარტამენტის ფინანსურ ანგარიშგებაში „დაუმთავრებელი აქტივების“ ნაშთი ირიცხება 16,836,163 ლარის ოდენობით. წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ მთლიანი საბალანსო ღირებულებიდან, უკვე დასრულებული და ექსპლუატაციაში შესული ხელოვნური ნაგებობების ტექნიკური ზედამხედველობისა და საპროექტო ღირებულების თანხები, ჯამში – 1,005,034 ლარი, არ არის ასახული ფინანსური ანგარიშგების ძირითადი აქტივების ღირებულებაში. შესაბამისად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „ძირითადი აქტივების“ მუხლი შემცირებულია, ხოლო „დაუმთავრებელი აქტივების“ მუხლი გაზრდილად არის წარმოდგენილი.

ფინანსურ ანგარიშგებაში ცვეთადი/ამორტიზირებადი აქტივების არასრულფასოვანი აღრიცხვა გავლენას ახდენს ცვეთის ხარჯების არასწორად ასახვასა და „წმინდა აქტივების კაპიტალის“ სისწორეზე.

აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, ვერ მივიღეთ რწმუნება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „გრძელვადიანი აქტივების“ ანგარიშის საბოლოო ნაშთის

⁶ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი.

⁷ სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2024 წლის 4 ივლისის წერილი N KA011772147468524. რეგისტრირებულია 2,897 ერთეული, ბალანსზე ასახულია 1,495 ერთეული, არაა ასახული – 1,484 ერთეული, მათ შორის, 13 ერთეულზე სამინისტრო არ ფლობს ინფორმაციას.

სისწორესა და სისრულეზე. შედეგად, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები არ არიან უზრუნველყოფილნი იმ მნიშვნელოვანი ინფორმაციის ზუსტი მონაცემებით, რომლებიც დაკავშირებულია საბიუჯეტო ორგანიზაციების სხვა გრძელვადიან არაფინანსურ აქტივებთან, რაც აქტივების მართვაში არსებულ ხარვეზებზე მიუთითებს.

1.1.2 არამატერიალური აქტივების აღრიცხვა

ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ფინანსური ანგარიშგებით „არამატერიალური აქტივების“ ნაწილში, პერიოდის საწყის ნაშთად ინტელექტუალური საკუთრების სხვა პროდუქტების სახით ერიცხებოდა 669,785 ლარის ღირებულების არამატერიალური აქტივები.⁸ სამინისტროს მიერ აღნიშნული აქტივები საბოლოოდ მიღებულია 2023 წლის 5 ოქტომბერს,⁹ ხოლო 2023 წლის 28 დეკემბერს საინვენტარიზაციო კომისიის გადაწყვეტილებით ჩამოწერილია ბალანსიდან იმ მოტივით, რომ აქტივები არ იმყოფება მხოლოდ სამინისტროს კონტროლქვეშ, არის საჯარო, ყველასათვის ხელმისაწვდომი და არ შეუძლია ეკონომიკური სარგებლის მიღება. ამასთანავე, სსბასს შესაბამისად ვერ აკმაყოფილებს არამატერიალურ აქტივად აღიარების კრიტერიუმს.

მოქმედი რეგულაციებით,¹⁰ „არამატერიალური აქტივები“ მოიცავს კვლევას და განვითარებას; მინერალური წიაღისეულის ძიებას და შეფასებებს; კომპიუტერულ პროგრამებს და მონაცემთა ბაზებს; გასართობ, ლიტერატურულ და მხატვრულ ორიგინალ ნიმუშებს და ინტელექტუალური საკუთრების სხვა პროდუქტებს. სსბასს 31-ით,¹¹ არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარების შემდგომ აისახება თვითღირებულების მოდელის გამოყენებით, რაც გულისხმობს ყოველი წლის ბოლოს არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებით ასახვას ფინანსურ ანგარიშგებაში.

მიღებული/მოპოვებული ინფორმაციით ირკვევა, რომ აქტივების შესყიდვის მიზანია დაგეგმვის ყველა ასპექტის გათვალისწინებით, საბაზისო მონაცემებისა და დარგობრივი კვლევების განხორციელება, მათ საფუძველზე სამართლიანი განაშენიანების მართვის რეგლამენტის დადგენა, რათა მიღებულ იქნეს საბოლოო შედეგი: ხულოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, კურორტ ბეშუმის (მიმდებარე ტერიტორიებით), ასევე გოდერძის უღელტეხილის არეალის გენერალური გეგმისა და ამ არეალში მოქცეული სამი ერთეული ტერიტორიის – კურორტ ბეშუმის, შქერნალის უბნისა და გოდერძის უღელტეხილის განაშენიანების დეტალური გეგმებისა და კურორტ ბეშუმის სანიტარიული დაცვის ზონის დოკუმენტაციის შემუშავება, ხოლო პროცესის მართვის პასუხისმგებლობაზე წამყვანი როლი ენიჭება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და ხულოს მუნიციპალიტეტის მერიას.

⁸ გოდერძის უღელტეხილის განაშენიანების დეტალური გეგმა; შქერნალის უბნის განაშენიანების დეტალური გეგმა; კურორტ ბეშუმის განაშენიანების დეტალური გეგმა; კურორტი ბეშუმი (მიმდებარე ტერიტორიებით) - გოდერძის უღელტეხილის არეალის გენერალური გეგმა და კურორტ ბეშუმის სანიტარიული დაცვის ზონის დოკუმენტაცია.

⁹ CNT21000030, ხელშეკრულება N7, 07.02.2021 წელი. საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი (05.10.2023 წელი).

¹⁰ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 15 იანვრის N17 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის და მისი გამოყენების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“, მუხლი 15, პუნქტი 2; სსბასს 31.

¹¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, მუხლი 39.

წარმოდგენილი დოკუმენტებით, ბალანსიდან ჩამოწერილი აქტივები ფაქტობრივად მოქმედია¹² და აღნიშნული აქტივების შემდგომში გამოყენების მიზნით, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მოთხოვნის საფუძველზე¹³ მიმდინარეობს გენერალური გეგმების დაზუსტება, განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებების ღონისძიებები.

აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „არამატერიალური აქტივების“ ნაშთი, დასაბუთების გარეშე 669,785 ლარით შემცირებულადაა წარმოდგენილი, არამატერიალური აქტივების არასწორი აღრიცხვა ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯების არასწორ ასახვას იწვევს, რაც თავის მხრივ, გავლენას ახდენს (ფინანსური შედეგების ანგარიშგება) მუხლის – „წმინდა აქტივი/კაპიტალი“ სისწორეზე, რაც აქტივების მართვაში არსებულ ხარვეზებზე მიუთითებს. ამასთანავე, საინვენტარიზაციო კომისიის შეფასება, რომ ჩამოიწეროს აქტივები, რადგან არ შეუძლია ეკონომიკური სარგებლის მიღება, წარმოშობს საბიუჯეტო სახსრების არაკონომიურად ხარჯვის რისკებს.

2.1 მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანება

ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ფინანსური ანგარიშგებით „მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები დარიცხული პროცენტებით და ჯარიმებით“ ნაწილში, პერიოდის გადაანგარიშებით რიცხული საწყისი ნაშთი შეადგენს 320,949,950 ლარს. აუდიტის პერიოდში დებიტორული დავალიანების ნაშთი, გაუფასურების ტესტით, შემცირებულია 10,350,816 ლარით და ბუღალტრულად აღრიცხულია საექვო მოთხოვნების ანარიცხების მუხლში, საიდანაც რიგ შემთხვევებში გაუფასურების ინდიკატორები სააღრიცხვო პოლიტიკით განსაზღვრული პირობების შეუსაბამოდ არის შეფასებული¹⁴, შესაბამისად, ვერ მოვიპოვეთ რწმუნება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული „მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებების დარიცხული პროცენტებით და ჯარიმებით“ ნაშთის სისწორეზე, შეფასებასა და მიკუთვნებაზე.

შედეგად, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები არ არიან უზრუნველყოფილნი იმ მნიშვნელოვანი ინფორმაციის ზუსტი მონაცემებით, რომლებიც დაკავშირებულია საბიუჯეტო ორგანიზაციების მოკლევადიან (მიმდინარე) დებიტორულ დავალიანებებთან.

3.1 სააღრიცხვო პოლიტიკა

სსბას 3 – „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომების“ თანახმად, სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოადგენს ერთეულის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის დროს გამოყენებული

¹² ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განმარტებით, გოდერძის უღელტეხილის განაშენიანების გენერალური გეგმა არეგულირებს საპროექტო არეალის შემდგომი განვითარებისა და ტერიტორიების გამოყენების საკითხებს. ამასთანავე, მოიცავს საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარების ძირითად მიმართულებებს.

¹³ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის N01-01-10/4120 წერილი, 22.05.2024 წელი; ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს NMON 6 24 004455943 წერილი, 23.04.2024 წელი; სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს 2024 წლის 30 აპრილის N225/ს ბრძანება.

¹⁴ დანართები: N3; N4; N5; N6.

გარკვეული პრინციპების, საფუძვლების, დაშვებების, წესებისა და პრაქტიკული მეთოდების ერთობლიობას.¹⁵ სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება, დანერგვა და გამოყენება ორგანიზაციაში აღრიცხვის თანმიმდევრულობის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა.

საბიუჯეტო ორგანიზაციებს არ აქვთ შემუშავებული და დანერგილი საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრული ერთგვაროვანი მიდგომის სააღრიცხვო პოლიტიკა. შედეგად, 2023 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ვერ განხორციელდა მხარჯავ დაწესებულებებს შორის გადაცემული აქტივების ელიმინირება, კერძოდ:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ ა(ა)იპ – მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სასპორტო სკოლას სასაქონლო კაპიტალური გრანტის სახით გადასცა ქალაქ ბათუმში, ლეონიდის ქ.N15-ში მდებარე საფეხბურთო ტექნიკური ცენტრის/სტადიონის ძირითადი აქტივები. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს აღრიცხული აქვს აქტივები, რომელთა საკუთრების უფლება ჯერ არ არის მოპოვებული ან სხვა ერთეულებზე გადასაცემად მიღებული 1-27-4200 საბუღალტრო ანგარიშზე, 10,474,940 ლარის ღირებულების, ხოლო ა(ა)იპ – მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სასპორტო სკოლამ 10,462,890 ლარი აღრიცხა სხვა ნაგებობებში – 1-22-1300 და 12,050 ლარი კი სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი 1-22-2220 საბუღალტრო ანგარიშებზე. შესაბამისად, აქტივების გაცემა ასახა შენიშვნა N11-ში, ხოლო აქტივების მიღება შენიშვნა – N6-ში და მათი ელიმინირება, ანუ კონსოლიდირებული ანგარიშგებიდან ამოღება ვერ განხორციელდა;

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ ა(ა)იპ – მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლეს გადაეცა ქალაქ ბათუმში, ლეონიდის ქ. N15-ში მდებარე 16,610.0 ლარის ღირებულების საფეხბურთო ტექნიკური ცენტრის/სტადიონის სხვადასხვა მატერიალური აქტივი. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ აქტივების გადაცემა ასახა სხვა დანარჩენი მასალები და მარაგები 1-14-1420 ანგარიშზე, ხოლო ა(ა)იპ – მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლეს აქტივების მიღება ასახული აქვს მცირეფასიანი აქტივები 1-14-1410 ანგარიშზე. შესაბამისად, შენიშვნა N3-ში სასაქონლო ფორმით მიღებული გრანტის ელიმინირება ვერ განხორციელდა;

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიაზე გადაცემულია ავტოსატრანსპორტო საშუალება – 65,400 ლარის ღირებულებით. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ავტოსატრანსპორტო საშუალება აღრიცხული ჰქონდა აქტივები, რომელთა საკუთრების უფლება ჯერ არ არის მოპოვებული ან სხვა ერთეულებზე გადასაცემად მიღებული 1-27-4200 საბუღალტრო ანგარიშზე.

¹⁵ სსპასს 3, მუხლი 7, განმარტებები.

შესაბამისად, კაპიტალური გრანტი სასაქონლო ფორმით აისახა შენიშვნა N11-ში, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალება მიღებულ იქნა სასაქონლო კაპიტალური გრანტის სახით: სატრანსპორტო მოწყობილობა 1-22-2100 საბუღალტრო ანგარიშზე (შენიშვნა N6). სასაქონლო კაპიტალური გრანტის სახით გადაცემული მოძრავი საშუალების ელიმინირება ვერ განხორციელდა.

შედეგად, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 10,556,950 ლარის ღირებულების შიდა ჯგუფური ოპერაციები არ არის ელიმინირებული, ამასთანავე, ერთგვაროვანი სააღრიცხვო პოლიტიკის არარსებობა იწვევს არათანმიმდევრულ აღრიცხვიანობას და ზრდის ფინანსურ ანგარიშგებაში დაშვებული უზუსტობების რისკს.

აუდიტი წარმართეთ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით – „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით“. უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) მოთხოვნების შესაბამისად, ჩვენ ვართ აუდიტებული ორგანიზაციისგან დამოუკიდებელი აუდიტორები და შესრულებული გვაქვს INTOSAI-ის მიერ დაწესებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პირობითი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

2. სხვა გარემოებები

2.1 შემოსავლები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ მიმწოდებლებზე ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის დაკისრებული აქვს პირგასამტეხლო 1,237,468 ლარი, თუმცა 2023 წლის ფინანსური შედეგების „ტრანსფერები და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების“ ნაწილში, შემოსავლებად არ არის აღიარებული ქალაქ ბათუმში, მეჯინისწყლის დასახლებაში მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის სამშენებლო სამუშაოებისათვის მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლო – 283,743 ლარი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, 2023 წლის ნაერთ (კონსოლიდირებულ) ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავლების ნაწილი 283,743 ლარით შემცირებულადაა წარმოდგენილი.

3. ხელმძღვანელობის და აუდიტორის პასუხისმგებლობა

ხელმძღვანელი პირების ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 4 თებერვლის N24 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ“ ინსტრუქციების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა, შეაფასოს ორგანიზაციის უნარი – უწყვეტად განაგრძოს საჯარო მომსახურების მიწოდება, როგორც ფუნქციონირებდნა ერთეულმა, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში, უნდა გააძლავნოს ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი და გამოიყენოს აღნიშნული პრინციპი ბუღალტრულ აღრიცხვაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახელმწიფოს გადაწყვეტილი აქვს ორგანიზაციის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა. ხელმძღვანელი პირები პასუხისმგებელი არიან კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის კონტროლზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, შეიცავს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და გამოვცეთ აუდიტის დასკვნა, რომელიც მოიცავს აუდიტის მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას, რომ ISSAI-ის მიხედვით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და ჩაითვლება არსებითად, თუ მოსალოდნელია, რომ ცალკე ან ჯამურად ისინი ზეგავლენას მოახდენენ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე. ISSAI-ის შესაბამისად, ჩატარებული აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს აუდიტის მსვლელობისას. ამასთანავე:

ვახდენთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არსებითი უზუსტობის რისკის იდენტიფიცირებას და შეფასებას, რომელიც შესაძლოა დაშვებულ იქნეს თაღლითობის ან შეცდომის გამო, ვსაზღვრავთ და ვატარებთ ამ რისკების შესაფერის აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი დასკვნის გამოსატანად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. რისკი იმისა, რომ თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა არ იქნება აღმოჩენილი, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით დაშვებულის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს მოლაპარაკებას, გაყალბებას, განზრახ

ინფორმაციის გამოტოვებას, დამახინჯებას ან დადგენილი შიდა კონტროლის მექანიზმების იგნორირებას;

ვსწავლობთ შიდა კონტროლის ფუნქციონირებას ისეთი აუდიტორული პროცედურების შესამუშავებლად, რომლებიც შესაფერისია არსებულ გარემოებებთან და არა იმისათვის, რომ გამოვხატოთ მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტიანად მუშაობის თაობაზე;

ვაფასებთ აღრიცხვის პოლიტიკის შესაფერისობას და სააღრიცხვო შეფასებების და ხელმძღვანელი პირების მიერ მოწოდებული განმარტებების გონივრულობას; ვასკვნით, ხელმძღვანელი პირების მიერ ბუღალტრული აღრიცხვის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობას და მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით - არსებობს თუ არა ამ მოვლენებთან და პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა სამინისტროს ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების უნარში, განაგრძონ ფუნქციონირება. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ჩვენ ვალდებული ვართ ყურადღება გავამახვილოთ აუდიტორულ დასკვნაში სათანადო განმარტებებზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ასეთი განმარტებები ადეკვატური არ არის, მოვახდინოთ მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები დაფუძნებულია აუდიტორულ მტკიცებულებებზე, რომლებიც მოპოვებულ იქნა აუდიტის დასკვნის თარიღისთვის. თუმცა, მომავალმა მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს სამინისტროს ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების ფუნქციონირებადობის საკითხი;

ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, აგრეთვე უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ოპერაციების და მოვლენების სამართლიანად წარდგენის კრიტერიუმებს;

მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს სამინისტროსადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა შევძლოთ გამოვხატოთ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და განხორციელებაზე. აგრეთვე ჩვენ სრულად ვაგებთ პასუხს ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე;

ხელმძღვანელობას სხვა საკითხებთან ერთად ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, აგრეთვე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი შედეგების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორები

ხელმოწერა

ნადიმ ბოლქვაძე
მთავარი აუდიტორი



ზვიად ვარშალომიძე
უფროსი აუდიტორი



გიორგი აბულაძე
აუდიტორი



დანართები

ფინანსური ანგარიშგების ფორმები და ახსნა- განმარტებითი შენიშვნები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ფინანსური შედეგების ანგარიშგება

ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგება

წმინდა აქტივების/კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიში

განმარტებითი შენიშვნები

გაუფასურების მოტივით შემცირებული დებიტორული
დავალიანებები.

დანართი N1	
1	ანგარიშვალდებული ერთეული (ცვლილებები წინა საანგარიშგებო პერიოდთან მიმართებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში)
2	ანგარიშვალდებული ერთეულის საკონტაქტო ინფორმაცია (მისამართი, ტელეფონი, ელ.ფოსტა)
3	საიდენტიფიკაციო ნომერი (ცვლილებები წინა საანგარიშგებო პერიოდთან მიმართებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში)
4	ორგანიზაციული ფორმა
5	დაფინანსების წყარო
6	ანგარიშგების ტიპი
7	ანგარიშგების პერიოდულობა
8	ანგარიშგების თარიღი და პერიოდი
9	ერთეულების მომცველობა (კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემთხვევაში)
10	მართლადი საქმიანობების ჩამონათვალი
11	საანგარიშგებო ვალუტა
12	დამრეგვლების დონე
13	ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ის შესახებ საკონტაქტო ინფორმაცია (მისამართი, ტელეფონი, ელ.ფოსტა)
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და გეოლოგიის სამინისტროს საქვეყნებო დაწესებულება - სახაზინო სამსახური აჭარის არ ფინანსთა და გეოლოგიის სამინისტროს საქვეყნებო დაწესებულება - სახაზინო სამსახური, მის: ქალაქი ზათუბი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. N37, ელ. ფოსტა - treasury@mofea.ge 245444844 საქვეყნებო დაწესებულება აჭარის არ რესპუბლიკური ბიუჯეტი; არასაბიუჯეტო შემოსავლები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წლიური 01.01.2023-01.01.2024 1. აჭარის არ უმაღლესი საბჭო 2. აჭარის არ უმაღლესი საარჩევნო კომისია 3. აჭარის არ მთავრობის აპარატი 4. აჭარის არ ფინანსთა და გეოლოგიის სამინისტრო 5. აჭარის არ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო 6. აჭარის არ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო 7. აჭარის არ სოფლის მეურნეობის სამინისტრო ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების მიღება; ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის განსაზღვრა; გ) საქართველოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პოლიტიკის განსაზღვრა და განხორციელება, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის კანონის მიღება და მისი შესრულების კონტროლი; დ) საქართველოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვა და განკარგვა; ე) საქართველოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული მიწის, ტყისა და წყლის რესურსების მართვა და განკარგვა; ვ) საქართველოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა და განვითარება; ზ) ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზების და სხვა ინფრასტრუქტურის მართვა; თ) ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საგანმანათლებლო, სამეცნიერო, შემოქმედებითი და სპორტული დაწესებულებების შექმნა, მართვა და მხარდაჭერა; ი) საქართველოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოებისა და საპატიო წოდებების დადგენა და მინიჭება; კ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო სამსახურის მართვა. ლარი ათახი ლარი 1. ზურაბ ლომიძე - აჭარის არ სახაზინო სამსახურის უფროსი; მობ: 577 52 65 65; ელ. ფოსტა - z.ghomidze@mofea.ge. 2. მუცეინარ მარაძე - მუდალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილების უფროსი, მობ: 599 28 68 15	

ხელმოწერა

ბუღალტერი:
მიდა პოლიტიკით განსაზღვრული სხვა
უფლებამოსილი პირ(ებ)ი (ასეთის არსებობის
შემთხვევაში):
ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

Mzevinar
Sharadze
61006010406

Digitally signed by
Mzevinar
Sharadze
DN: cn=2024.03.30
17:04:30

Zurab
Ghomidze
61001016990

Digitally signed by
Zurab Ghomidze
DN: cn=2024.03.30
17:13:22

THE TREASURY Digitally signed by
OFFICE OF THE THE TREASURY
MINISTRY OF THE OFFICE OF THE
FINANCE AND MINISTRY OF
ECONOMY OF THE A.R.O.F. AJARA
AJARA
Date: 2024.03.30
17:13:56 -0400

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

სტრუქტურის კოდი	დასახელება	შენიშვნა	საანგარიშგებო პერიოდის საბოლოო ნაშთი	წინა საანგარიშგებო პერიოდის საბოლოო ნაშთი
აქტივები				
მოკლევადიანი აქტივები				
001	ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	N2	60,945.91	49,178.07
002	მიმდინარე ინვესტიციები	N2a	158.08	158.08
003	მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები	N2b	263,770.82	76,877.05
004	მატერიალური მარაგები	N3	10,073.03	8,440.07
005	სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივები	N4	19,756.23	12,875.80
006	სულ მოკლევადიანი აქტივები		354,704.07	147,529.08
გრძელვადიანი აქტივები				
007	გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	N5	260,307.88	385,412.49
008	ძირითადი აქტივები	N6	822,453.50	790,960.29
009	ნაინვესტიციო ქონება	N7	0	0
010	არამატერიალური აქტივები	N8	2,948.96	2,794.98
011	შეღავათიანი მომსახურების აქტივები	N9	0	0
012	ფინანსური იჯარით მიღებული აქტივები	N10	0	0
013	სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივები	N11	2,216,824.42	2,084,184.95
014	სულ გრძელვადიანი აქტივები		3,302,534.76	3,263,352.70
015	სულ აქტივები		3,657,238.83	3,410,881.78
ვალდებულებები				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
016	მოკლევადიანი ვალდებულებები ფასიანი ქაღალდებით	N12	0.00	0.00
017	მოკლევადიანი ნასესხები თანხები	N12	19,166.97	8,242.25
018	მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები, გარდა პროცენტისა	N13a	5,128.40	4,379.19
019	გადასახდელი პროცენტი	N13b	152.39	84.61
020	მიმდინარე ანარიცხები	N13b	0	0
021	სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	N13c	813.84	442.42
022	ვალდებულებები დროებით განთავსებული სახსრებით	N13a	0.00	0.00
023	სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		25,261.59	13,148.47
გრძელვადიანი ვალდებულებები				
024	გრძელვადიანი ვალდებულებები ფასიანი ქაღალდებით	N12	0.00	0.00
025	გრძელვადიანი ნასესხები თანხები	N12	38,986.76	33,216.47
026	გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები ფინანსური იჯარით	N10	0	0
027	შეღავათიანი მომსახურების შეთანხმებებით განსაზღვრული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	N9	0	0
028	გრძელვადიანი ანარიცხები	N13b	0	0
029	გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	N13a	40.58	44.33
030	სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		39,027.34	33,260.79
031	სულ ვალდებულებები		64,288.93	46,409.26
წმინდა აქტივები/კაპიტალი				
032	საწესდებო კაპიტალი		0	0
033	გაუმჯობესებული ნამუხტი/დეფიციტი		3,592,949.90	3,364,472.52
034	რეზერვები		0	0
035	სულ წმინდა აქტივები/კაპიტალი		3,592,949.90	3,364,472.52
036	სულ ვალდებულებები და წმინდა აქტივები/კაპიტალი		3,657,238.83	3,410,881.78

THE TREASURY
OFFICE OF THE
MINISTRY OF
FINANCE AND
ECONOMY OF THE
A.R. OF ABKHAZIA

Digitally signed by
THE TREASURY OFFICE
OF THE MINISTRY OF
FINANCE AND
ECONOMY OF THE A.R.
OF ABKHAZIA
Date: 2024.10.22
12:11:26 +0400

საერთაშორისო მუხლები				
036	საოპერაციო იჯარით მიღებული ძირითადი აქტივები	01	0.00	0.00
037	პასუხსაგებ შენახვად მიღებული აქტივები	02	56.80	18.26
038	გადახდისუნარი დებიტორების ჩამოწერილი დავალიანებები	03	0.08	0.08
039	ხარჯებში ჩამოწერილი მატერიალური მარაგები ექსპლუატაციაში	04	5,942.85	5,313.61
040	პირობითი აქტივები	05	81,983.03	77,911.48
041	პირობითი ვალდებულებები	06	179.81	85.12
042	ხაკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა	07	783.44	584.80
043	სრულად გაიფეთილი/ამორტიზებული აქტივები ექსპლუატაციაში	08	14,199.78	15,120.78
044	ვადგადგილებული დავალიანებები	09	5.69	5.69
045	ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მფირეფა	10	1,603.66	1,810.32
046	განსაკარგავად გადასადები მომრავი ქონება	11	0.00	0.00
047	საბანკო გარანტიები	12	5,556.05	1,274.27
048	ჩამოწერილი კრედიტორული დავალიანებები	13	0.00	0.00

1 მითითებულ მუხიფრეფში აისახება ღირანსხური მფეფაშარეფობის ანგარიშეფების მუხლებშიან დავაეფმორებით დეე

ხელმოწერა:

შელალტერი:
შიდა პოლიტიკით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილი პირ(ებ)ი (სეფის არსეფობის შემთხვევაში);
ორგანიზაციის ხელმძღვანელი;

THE TREASURY Digitally signed by:
OFFICE OF THE THE TREASURY
MINISTRY OF OFFICE OF THE
FINANCE AND MINISTRY OF
ECONOMY OF THE FINANCE AND
THE A.I. OF ECONOMY OF THE
AJARA. Date: 2024.03.22
12:13:48 +0400

ფინანსური შედეგების ანგარიშგება:

სტრუქტურის კოდი	დასახელება	შენიშვნა ¹	საანგარიშგებო პერიოდის ზრუნვა			წინა საანგარიშგებო პერიოდის ზრუნვა
			სამიწვევით სახურავები	არასამიწვევით სახურავები	სულ	
შემოსავლები						
001	საეკლესიო შემოსავლები	N14 ა	482,889.95	0.00	482,889.95	377,682.19
002	საეკლესიო შენატონები		0.00	0.00	0.00	0.00
003	შემოსავლები სასტუმრო, ვარიტებისა და საურავებით	N14 ბ	11.65	0.00	11.65	19.68
004	შემოსავლები გრანტებით	N14 ბ	14,300.84	4,459.69	18,760.53	13,762.74
005	ტრანსპორტი და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	N14 ბ N15 ა	134,389.46	540.84	134,930.30	30,629.33
006	შემოსავლები შიდა ტრანსპორტით	N14 ბ	0.00	0.00	0.00	0.00
007	შემოსავლები გაცემითი იმპროვიზიდან გარდა პროცენტისა და გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლებისა	N15 ა	2,586.71	5,903.63	8,490.34	7,615.67
008	გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან მიღებული მოგები	N15 ბ N17 ა	438.02	0.00	438.02	52,178.42
009	საპროცენტო შემოსავლები	N15 ა	11,377.51	113.26	11,490.77	4,838.65
010	გაუკლასრების უკუგადატარებით შემოსავლები	N16	85,460.41	0.00	85,460.41	21.46
011	ხაზადასხვა შემოსავლები	N18	634.15	0.62	634.77	4,082.76
012	სულ შემოსავლები		732,088.69	11,018.05	743,106.74	490,830.90
ხარჯები						
013	მშრომის ანაზღაურება	N17 ბ	52,231.13	887.50	53,118.64	43,497.15
014	დაქირავებული და მომსახურება	N17 ბ	69,307.28	3,979.63	73,286.91	52,616.86
015	გარანტიები	N17 ბ	228,380.52	6.86	228,387.38	231,932.64
016	სესიონდები	N17 ბ	13,062.94	0.00	13,062.94	9,451.48
017	ტრანსპორტი და სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯები	N17 ბ	65,991.89	2,675.35	68,667.25	65,568.12
018	შიდა ტრანსპორტით ხარჯები	N17 ბ	0.00	0.00	0.00	0.00
019	დედო და ამორტიზაცია	N17 ბ	16,083.64	409.15	16,492.79	15,210.96
020	საეკლესიო დანახარები (უზრუნველყოფა)	N17 ბ	45,683.73	65.59	45,749.33	26,984.86
021	გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების გაყიდვიდან მიღებული ზიანები	N18 N17 ა	14.25	0.00	14.25	7.90
022	საპროცენტო ხარჯები (ფინანსური ხარჯები)	N17 ბ	930.95	0.00	930.95	530.10
023	გაუკლასრების ხარჯები	N16	11,252.85	46.15	11,299.00	2,134.94
024	ხაზადასხვა ხარჯები	N18	3,619.62	0.30	3,619.92	7,012.06
025	სულ ხარჯები		506,558.81	8,070.55	514,629.36	454,947.08
026	პერიოდის ნამტეხი (დეფიციტი)		225,529.88	2,947.50	228,477.38	35,883.82

Figure 6

ზუდალტერი:

შიდა პოლიტიკით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილი პირ(ებ)ი

(ასეუთის არსებობის შემთხვევაში).

ორგანიზაციის ზეღმძღვანელი:

THE TREASURY
OFFICE OF THE
MINISTRY OF
FINANCE AND
ECONOMY OF
THE A.R. OF
ALBANIA

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება¹

სტრუქტურული ერთეული	დასახელება	შენიშვნა ¹	საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა			წინა საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა		
			სამიუჯკტო სახსრები	არასამიუჯკტო სახსრები	სულ	სამიუჯკტო სახსრები	არასამიუჯკტო სახსრები	სულ
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან								
001	შემოსული თანხები		505,364.11	9,004.42	514,368.53	387,391.17	8,725.22	396,116.39
002	გადასახადები	N19	482,889.95	0.00	482,889.95	377,682.19	0.00	377,682.19
003	სოციალური შენატონები		0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
004	გრანტები		276.90	1,348.61	1,625.51	40.20	1,931.60	1,971.80
005	შემოსავლები საკუთრებიდან		15,055.15	113.26	15,168.41	5,813.78	8.27	5,822.05
006	მშპ პროცენტი		11,915.34	113.26	12,028.60	4,486.39	8.27	4,494.66
007	საქონლისა და მომსახურების გაყიდვებიდან		808.25	5,359.81	6,168.06	711.34	1,826.79	2,538.13
008	მიღებული თანხები		10.90	0.00	10.90	14.93	34.55	49.48
009	სხვა შემოსავლები		6,322.62	2,182.66	8,505.27	3,128.72	4,924.01	8,052.73
010	დროებითი გაურკვევლი თანხები		0.34	0.00	0.34	0.00	0.00	0.00
011	გასული თანხები		422,878.47	6,488.24	429,366.71	312,957.93	6,344.18	319,302.11
012	თანამშრომლების შრომის ანაზღაურება		52,235.74	887.50	53,123.24	42,314.40	1,171.48	43,485.88
013	მოძღვრების საფუძვლის გადართვის თანხები		70,630.79	4,040.18	74,670.96	51,657.72	3,057.99	54,715.71
014	საქონლისა და მომსახურების საფუძვლის		223,395.27	6.84	223,402.11	148,899.18	0.00	148,899.18
015	გრანტები და სუბსიდიები		45,680.27	38.34	45,718.61	26,932.50	12.70	26,945.20
016	სოციალური დახმარება		859.36	0.00	859.36	495.45	0.00	495.45
017	გადახდილი პროცენტი		30,077.05	1,515.38	31,592.43	42,658.68	2,102.01	44,760.69
018	სხვა ხარჯები (საყიდვები, გასვლები)		0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
019	წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		82,485.64	2,516.19	85,001.83	74,433.24	2,381.04	76,814.28
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან								
020	ძირითადი აქტივების შესყიდვა		100,265.73	1,021.87	101,287.60	81,001.39	514.32	81,515.71
021	არამატერიალური აქტივების შესყიდვა		839.01	8.46	847.47	3.26	2.45	5.71
022	სხვა გრძელვადიანი აქტივების შესყიდვა		139.96	4.45	144.41	140.45	9.87	150.32
023	ინვესტიციების წილების შესყიდვა		0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
024	ფასიანი ქაღალდების შესყიდვა		0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
025	გაყიდვითი სესხები		0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
026	სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივების ზრდა		0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
027	ძირითადი აქტივების გაყიდვებიდან მიღებული თანხები		37,199.14	0.00	37,199.14	34,578.80	0.00	34,578.80
028	არამატერიალური აქტივების გაყიდვებიდან		0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
029	მიღებული თანხები		0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
030	სხვა გრძელვადიანი აქტივების გაყიდვებიდან		0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
031	ინვესტიციების წილების გაყიდვებიდან მიღებული თანხები		0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
032	ფასიანი ქაღალდების გაყიდვა		0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
033	ფინანსური იჯაროდან მიღებული ძირითადი		0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
034	თანხები		0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
035	სესხების დაფარვიდან მიღებული თანხები		0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00

სტრუქტურის კოდი	დასახელება	შენიშვნა ²	საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა			წინა საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა		
			საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	სულ	საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	სულ
033	სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივების კლება		0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
034	წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		-64,045.56	-1,034.78	-65,080.34	-46,566.28	-526.64	-47,092.92
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან								
034	მთავრობის მოკლევადიანი ფასიანი ქაღალდების გამოშვებიდან მიღებული თანხები		0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
035	მთავრობის ობლიგაციების გამოშვებიდან		0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
036	მეიორული თანხები უცხოურ ვალუტაში ფასიანი ქაღალდების გამოშვებიდან მიღებული თანხები		0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
037	სხვა ნასესხები თანხებიდან მიღებული თანხები		0.00	0.00	0.00	20,000.00	0.00	20,000.00
038	მოკლევადიანი სამთავრობო ფასიანი ქაღალდების გამოშვებიდან (დაფარვა)		0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
039	სამთავრობო ობლიგაციების გამოშვებიდან (თავსარგა)		0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
040	უცხოურ ვალუტაში ფასიანი ქაღალდების გამოშვებიდან (დაფარვა)		0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
041	ფინანსური ინსტრუმენტების მიხედვით განსაზღვრული (თავსარგა)		0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
042	სხვა ნასესხები თანხების გადახდა (დაფარვა)		8,155.61	0.00	8,155.61	2,978.48	0.00	2,978.48
043	ვალდებულებები დროებით განთავსებული სახსრებით		0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
044	ვალდებულებები დროებით განთავსებული სახსრებით ზარალი		0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
045	ვალდებულებები დროებით განთავსებული სახსრებით ზარალი		0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
046	დაბრუნების სარეზერვო ქაღალდები		0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
047	წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		-8,155.61	0.00	-8,155.61	17,021.52	0.00	17,021.52
048	ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა (შემცირება)		10,284.46	1,481.41	11,765.87	44,886.49	1,854.40	46,742.89
049	ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში, მათ შორის		45,706.20	3,471.87	49,178.07	817.71	1,640.61	2,458.32
050	ზარალის ურთიანი ანგარიში, ფულადი სახსრები სალაროში და კომერციულ ბანკებში ანგარიშები		45,706.20	3,461.80	49,168.01	817.71	1,607.40	2,425.12
051	ზარალის საკალკულაციო ანგარიში		0.00	10.06	10.06	0.00	33.21	33.21
052	3 თვემდე ვადიანი დეპოზიტები		0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
053	კურსთა სხვაობით მიღებული მოგება (ზარალი)		0.00	0.29	0.29	0.00	0.00	0.00

სტრუქტურული კოდი	დასახელება	შენიშვნა ²	საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა			წინა საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვა		
			საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	სულ	საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	სულ
054	ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს, მათ შორის		55,992.34	4,953.57	60,945.91	45,706.20	3,471.87	49,178.07
055	ბაზინის ურთიანი ანგარიში, ფულადი სახსრები სალაროში და კომერციულ ბანკებში ანგარიშები		55,990.67	4,943.21	60,933.88	45,706.20	3,461.80	49,168.01
056	ბაზინის სავალუტო ანგარიში		1.67	10.36	12.03	0.00	10.06	10.06
057	3 თვეზე მეტად ვადიანი დეპოზიტები		0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00

¹ ფირმა იესება ვრთელის მიერ, რომელიც აბრეშოვებს ფულადი სახსრების შარივასა და კონტროლს

² მათიიფებულ შენიშვნებში აღხაება ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების მუხლებთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია

ხელმოწერა

ხელდატტერი:
შედა პილიტეკით განსაზღვრული სხვა
უფლებამოსილი პირ(ებ)ი (ასეთის არსებობის
შემთხვევაში):
ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

THE TREASURY
OFFICE OF THE
MINISTRY OF
FINANCE AND
ECONOMY OF THE
A R OF
AJARA,
Digitally signed by
THE TREASURY
OFFICE OF THE
MINISTRY OF
FINANCE AND
ECONOMY OF THE
A R OF AJARA
Date: 2024.10.22
12:14:33 +04:00

შპს "საქართველოს საგარეო ურთიერთობების სამსახური"						
სტრუქტურული ერთეული	დასახელება	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი ნაშები/დეფიციტი		სულ შპს-ის აქტივები/კაპიტალი
				საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	
001	საწესდებო ნაშები		0.00	2,964,868.22	9,126.09	2,973,994.32
002	საბიუჯეტო პოლიტიკის ცვლილებების რეტროსპექტიული კორექტირება	N1	0.00	-77,666.72	0.00	-77,666.72
003	წინა პერიოდების არსებითი შეცდომების რეტროსპექტიული კორექტირება	N1	0.00	-87,542.15	-186.56	-87,728.70
004	კორექტირებები ერთჯერადი გადასახადების შედეგად	N1	0.00	555,864.13	9.50	555,873.63
005	კორექტირებები კაპიტალის სხვა ცვლილებების შედეგად	N1	0.00	0.00	0.00	0.00
006	გადაანგარიშებული საწესდებო ნაშები		0.00	3,355,523.48	8,949.04	3,364,472.52
შპს-ის აქტივების/კაპიტალის ცვლილება						
007	კაპიტალში შენატარები		0.00	0.00	0.00	0.00
008	კაპიტალის აღიარება		0.00	0.00	0.00	0.00
009	პროცენტების ზრდა/კლება	N5	0.00	0.00	0.00	0.00
010	პროცენტების ნაშები/დეფიციტი		0.00	225,519.88	2,957.50	228,477.38
011	მისაღებობის/დასაღებობის განაწილებული თანხები		0.00	0.00	0.00	0.00
012	საბიუჯეტო ნაშები		0.00	3,581,043.36	11,906.54	3,592,949.90
წინა საგარეო ურთიერთობების სამსახური						
სტრუქტურული ერთეული	დასახელება	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი ნაშები/დეფიციტი		სულ შპს-ის აქტივები/კაპიტალი
				საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	
001	საწესდებო ნაშები		0.00	2,843,682.06	8,463.66	2,852,145.72
გადაფასებით განპირობებული ზრდა ან შემცირება, უცხოური ვალუტის გაცვლის შედეგად მიღებული საკუროსო სხვაობები - აღიარებულია პირდაპირ წმინდა აქტივებში/კაპიტალში მომხდარ ცვლილებად.

სსპას 24 თანახმად, ფინანსური ანგარიშგების ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგება მომზადებულია საკასო მეთოდის შესაბამისად. ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგება ინსტრუქციის თანახმად მომზადებულია მხოლოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საბიუჯეტო სახსრების ნაწილში. ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგება მომზადებულია საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, ფინანსური ანგარიშგებისგან დამოუკიდებლად. ავტონომიური რესპუბლიკის სამეურნეო ოპერაციების შინაარსი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, ძირითადი საქმიანობების აღწერა და შესაბამისი კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს საბიუჯეტო საქმიანობას, რესპუბლიკური პროგრამული ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგებაში.

ანგარიშგების თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საბიუჯეტო დაწესებულებები სსპას 14 თანახმად ასახავს ანგარიშგების თარიღის შემდგომ მოვლენებს. ანგარიშგების თარიღის შემდეგ მომხდარ მოვლენებს მიეკუთვნება ისეთი მოვლენები, რომლებიც წარმოიქმნება ანგარიშგების თარიღსა და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღს შორის. მოვლენები, რომლებზეც ერთეულს გააჩნია მტკიცებულებები ანგარიშგების თარიღისათვის პირობების არსებობაზე, განიხილება ანგარიშგების თარიღის შემდგომ მაკორექტირებელ მოვლენებად, ხოლო მოვლენები, რომლებიც მიგვანიშნებს ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში წარმოქმნილ პირობებზე – ანგარიშგების თარიღის შემდგომ არამაკორექტირებელ მოვლენებად. ანგარიშგების თარიღის შემდგომი მაკორექტირებელი მოვლენების შემთხვევაში ხდება ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული თანხების კორექტირება ან ისეთი მუხლების აღიარება, რომლებიც მანამდე არ იყო აღიარებული, ხოლო ანგარიშგების თარიღის შემდგომი არამაკორექტირებელი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის შესახებ, აისახება ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში. კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში და განმარტებით შენიშვნებში აისახება ანგარიშგების თარიღის შემდეგ მომხდარი მხოლოდ ისეთი მაკორექტირებელი და არამაკორექტირებელი მოვლენები, რომლებიც წარმოიქმნება ანგარიშგების თარიღსა და მაკონტროლებელი ერთეულის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღს შორის პერიოდში. შემდგომ, ანგარიშგების დამტკიცებისა და სახაზინო სამსახურის მიერ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნების თარიღს შორის პერიოდში, მომხდარი მაკორექტირებელი და არამაკორექტირებელი მოვლენების ასახვა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასა და განმარტებით შენიშვნებში არ ხდება.

3. სააღრიცხვო პოლიტიკების ცვლილებების აღწერილობა, რომლებიც აისახა ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის რესტროსპექტული გამოყენების სახით; ასევე, წინა საანგარიშგებო პერიოდის შესადარის ინფორმაციასთან დაკავშირებით ანალოგიური მონაცემები და წინა პერიოდ(ებ)ის არსებითი შეცდომების აღწერილობა, რომლებიც გასწორდა რეტროსპექტული გადაანგარიშების შედეგად; ასევე, წინა საანგარიშგებო პერიოდის შესადარის ინფორმაციასთან დაკავშირებული ანალოგიური მონაცემები -იხ. დანართი ცხრილი 1

4. წინა პერიოდ(ებ)ის არაარსებითი შეცდომების აღწერილობა, რომლებიც გასწორდა

პერსპექტიულად, მიმდინარე პერიოდის ანგარიშგებაში.

ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს არაარსებით შეცდომებს, ვინაიდან არ გამოვლენილა ანგარიშგების მომზადების დროს.

5. არსებითი არამაკორექტირებელი მოვლენის შესახებ დეტალური ინფორმაცია, ფინანსური შედეგის წინასწარ შეფასებასთან ერთად, ან შესაბამისი მიზეზების მითითებით, თუ რატომ ვერ მოხერხდა ფინანსური შედეგების წინასწარი განსაზღვრა

ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს არაარსებით შეცდომებს, ვინაიდან არ გამოვლენილა ანგარიშგების მომზადების დროს.

შენიშვნა N 2. ფულადი სახსრები და ეკვივალენტები

ფინანსურ ანგარიშგებაში ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები რეგულირდება სსპას 2 – „ფულადი სახსრების შესახებ ანგარიშგება“

ცნება და აღიარება

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს საღარიშოში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე, ბანკებში მოთხოვნამდე დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდურობის მქონე ინვესტიციებს სამ თვემდე დაფარვის თავდაპირველი ვადით, იმ პირობით თუ ორგანიზაციას თავისუფლად შეუძლია გამოიყენოს და განკარგოს აღნიშნული თანხები.

ფულადი სახსრების ეკვივალენტები არის მოკლევადიანი, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიკვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.

საბანკო ანგარიშებზე ვადიანი დეპოზიტები, რომელთა დაფარვის ვადა ანგარიშგების თარიღიდან სამ თვეზე მეტია, არ აღირიცხება როგორც ფულადი სახსრები. ასეთი ტიპის დეპოზიტები აღირიცხება როგორც გრძელვადიანი ფინანსური აქტივები.

ფული ავტონომიური რესპუბლიკის ხაზინის ანგარიშზე მოიცავს მიმდინარე ანგარიშებს, რომელიც განთავსებულია ავტონომიური რესპუბლიკის ხაზინის ერთიან ანგარიშზე.

სახაზინო სამსახურის მიერ ფულად სახსრებად აღიარდება ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის შემოსავლების სახით მიღებული თანხები და საკუთარი ხარჯების დასაფინანსებლად განკუთვნილი სახსრები.

თავდაპირველი შეფასება

ფული და ფულის ეკვივალენტები თავდაპირველი აღიარებისას აღიარდება რეალური ღირებულებით. ორგანიზაციის მიერ განხორციელებული ოპერაციების ხასიათიდან გამომდინარე, ფულის რეალური და ნომინალური ღირებულება ერთმანეთს ემთხვევა.

ფულის და მისი ეკვივალენტების შემოდინება ხორციელდება უმთავრესად შემდეგი გზებით:

- საბიუჯეტო შემოსავლები;
- საქონლისა და მომსახურების ღირებულების მიღება;
- გრანტის მიღება;
- საპროცენტო შემოსავლები;
- საგარანტიო თანხების მიღება;
- სხვა მიღებები.

შემდგომი შეფასება

საანგარიშგებო თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი მუხლები გადაანგარიშდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის გამოყენებით.

ფულადი სახსრების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ხდება მესამე მხარეზე გადაცემა.

შენიშვნა N2 -ში მოცემულია ინფორმაცია საანგარიშგებო პერიოდის საწყისი და საბოლოო ნაშთების შესახებ.

ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტის საბიუჯეტო ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს დაფიქსირდა 5,990.67 ათასი ლარით, სადაც 5,244.48 ათასი ლარი არის საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 ივნისის N1074 განკარგულებით ჩარიცხული უპროცენტო სესხის (20,000 ათასი ლარის) აუთვისებელ ნაწილი, ხოლო 746.18 ლარი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის გაუხარჯავი ფულადი სახსრებია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტის არასაბიუჯეტო (საკუთარი) ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში მოიცავს იმ ფულად სახსრებს რომლებიც მიღებულია ავტონომიური რესპუბლიკის ხელისფულების მიერ დაფუძნებული სსიპ-ს და ა(ა)იპ-ს კომერციული საქმიანობიდან. ეს თანხები შემოსავლებად და ხარჯებად აღიარდება თავად სსიპ-ის და ა(ა)იპ-ის მიერ. სახაზინო სამსახურს გააჩნია ნაშთის სახით რიცხული თანხის ტოლფასი ვალდებულება შესაბამის სსიპ-ის და ა(ა)იპ-ის წინაშე.

სახაზინო სამსახური ფულადი სახსრების მოძრაობას ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტის არასაბიუჯეტო (საკუთარი) ფულადი სახსრების ანგარიშებზე ასახავს შემდეგი ბუღალტრული გატარებებით;

1. ფულადი სახსრების მიღება,

დებეტი 1-11-2122 (ავტონომიური რესპუბლიკების არასაბიუჯეტო (საკუთარი) ფულადი სახსრები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში)

კრედიტი 2-13-1600 (ხაზინის მიერ საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის გადასახდელები არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით)

2. ფულადი სახსრების გასვლა

დებეტი 2-13-1600 (ხაზინის მიერ საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის გადასახდელები არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით)

კრედიტი 1-11-2122 (ავტონომიური რესპუბლიკების არასაბიუჯეტო (საკუთარი) ფულადი სახსრები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში).

კომერციულ ბანკებში ფულადი ნაშთები ეროვნულ ვალუტაში აღრიცხულია ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის და სსიპ ბათუმის ბულვარის კომერციული საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-7 მუხლის მე-8 ქვემუხლის შესაბამისად - ავტონომიური რესპუბლიკის სახაზინო სამსახური, საჯარო სამართლის იურიდიული პირები და არასამეწარმეო (არაკომერციული)

იურიდიული პირები უფლებამოსილნი არიან დამატებითი შემოსავლის მიღების მიზნით გახსნან მიმდინარე ან/და სადეპოზიტო ანგარიშები კომერციულ ბანკებში. დაუშვებელია მიმდინარე ანგარიშზე ანგარიშის მფლობელმა განახორციელოს სხვა ოპერაციები, გარდა სახელმწიფო ხაზინაში გახსნილი ანგარიშიდან სახსრების გადატანისა, სახელმწიფო ხაზინაში გახსნილ ანგარიშზე სახსრების დაბრუნებისა, სადეპოზიტო ანგარიშზე თანხის გადატანისა და სადეპოზიტო ანგარიშიდან თანხის დაბრუნებისა.

სახაზინო სამსახურს რესპუბლიკური ბიუჯეტის ფულადი სახსრები ბიუჯეტის სასარგებლოდ დამატებითი შემოსავლის მიღების მიზნით თანხა განთავსებული აქვს კომერციულ ბანკში სადეპოზიტო ანგარიშზე - მოთხოვნამდე ანაბარი, შეაბამისად 2023 წლის პირველი იანვრისთვის სახაზინო სამსახურის მიერ განთავსებული საბიუჯეტო სახსრები კომერციულ ბანკში შედგენდა 38,000.00 ათას ლარს, ხოლო 2024 წლის პირველი იანვრისათვის კი 50,000.00 ათას ლარს.

სსიპ - ბათუმის ბულვარს კომერციული საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები ასევე განთავსებული აქვს კომერციულ ბანკში სადეპოზიტო ანგარიშზე, დამატებით შემოსავლის მიღების მიზნით. 2024 წლის პირველი იანვრისათვის სადეპოზიტო ანგარიშზე მისი ფულადი სახსრების ნაშთი შედგენს 1,001.47 ათას ლარს.

დეპოზიტები ხაზინაში უცხოურ ვალუტაში მოცეულია საბიუჯეტო ორგანიზაციების ხაზინის სავალუტო ანგარიშებზე არსებული თანხები, რომლებიც გადაანგარიშებულია ეროვნულ ვალუტაში. შესაბამისი პერიოდის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით (იხ. ცხრილი)

შენიშვნა N2. მიმდინარე ინვესტიციები და მოკლევადიანი დებიტორული დავალიანებები

ცნება და აღიარება

მოთხოვნები არის აქტივი, რომელიც ორგანიზაციას უფლებას ანიჭებს მიიღოს ფული ან მომსახურება/საქონელი მეორე პირისგან, რომელთანაც განხორციელებულია ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდები. მოთხოვნის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც სავარაუდოა მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღნიშნული აქტივისგან.

საბიუჯეტო დაფინანსების შედეგად მიღებული რესურსი საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ გარდა სახაზინო სამსახურისა არ აღიარდება როგორც ფულადი სახსრები და განიხილება როგორც მოთხოვნები ხაზინის მიმართ, ხოლო სახაზინო სამსახურის მიერ აღნიშნული სახსრები აღიარდება როგორც ფული და შესაბამისი ვალდებულება.

მოთხოვნები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

- ✓ მოთხოვნები მომსახურების გაწევიდან;
- ✓ მოთხოვნები აქტივის გაყიდვიდან;
- ✓ მოთხოვნები წინასწარ გადახდილი თანხებით;
- ✓ მოთხოვნები გრანტებიდან;
- ✓ მოთხოვნები დარიცხული პირგასამტეხლოებიდან;
- ✓ აქტივის პირობით გადაცემის შედეგად წარმოშობილი მოთხოვნები;
- ✓ სხვა მოთხოვნები.

თავდაპირველი შეფასება

მოთხოვნების თავდაპირველი შეფასება ხდება მისაღები თანხით.

წინასწარ გადახდილი აქტივის შეფასება ხდება გადახდილი თანხის მიხედვით, ხოლო თუ თანხის გადახდა მოხდა უცხოურ ვალუტაში გადახდის დღეს არსებული ოფიციალური კურსის ეკვივალენტად ლარებში.

შემდგომი შეფასება

იმ შემთხვევაში, როცა ფულის ან ფულადი სახსრების ეკვივალენტის შემოსვლა ყოვნდება სტანდარტული საკრედიტო პირობებისაგან განსხვავებული ვადით, ანაზღაურების რეალური ღირებულების განსაზღვრის მიზნით მისაღები ფულადი ნაკადების დისკონტირება არ ხდება.

ორგანიზაციები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში განცალკევებულად ასახავს მოთხოვნების მიმდინარე და გრძელვადიან ნაწილებს. მოთხოვნის ნაწილი მიმდინარედ მიიჩნევა, თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვის განმავლობაში. გრძელვადიანია მოთხოვნის ნაწილი, რომელიც არ არის მიმდინარე.

გაუფასურება

ორგანიზაციები ყოველი ინვენტარიზაციის დროს ან საჭიროების შემთხვევაში ადგენს მოთხოვნების გაუფასურების ინდიკატორების არსებობას, არსებობს თუ არა რაიმე მიწიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ და თუ ასეთი არსებობს, მაშინ ატარებს გაუფასურების ტესტს.

პირველ რიგში დგინდება გამოიწვია თუ არა რაიმე მოვლენამ აღნიშნული მოთხოვნის გაუფასურება. გაუფასურების რაიმე ობიექტური მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში აღიარდება ზარალი და მცირდება მოთხოვნის მიმდინარე ღირებულება.

თუ არსებობს დებიტორული დავალიანების გარკვეული ნაწილის გადაუხდელობის ალბათობა, დებიტორული დავალიანების გადაუხდელობის ალბათობაზე მსჯელობს საინვენტარიზაციო კომისია. ორგანიზაციები, გაუფასურების ზარალს აღრიცხავს საექვო მოთხოვნების ანარიცხების აღიარების ან დებიტორის სრულად ჩამოწერის გზით.

ჩამოწერა

მოთხოვნების და დებიტორული დავალიანებების ჩამოწერა ხდება მაშინ, როდესაც

- ✓ ორგანიზაციებს მიღებული აქვს აქტივთან დაკავშირებული ყველა თანხა;
- ✓ ორგანიზაციის მიერ განხორციელდა ვალის პატიება;
- ✓ მისაღებ თანხებთან დაკავშირებული ყველა უფლებები გადაეცა სხვა პირს;
- ✓ როდესაც ორგანიზაცია მიიღებს მომსახურებას ან უფლებას შესაბამის აქტივზე;
- ✓ თანხების მიღება შეუძლებელია. ამ შემთხვევაში ორგანიზაცია მთლიანად აკეთებს აქტივის გაუფასურებას და შემდეგ ანულებს შესაბამის აქტივს და აკუმულირებული გაუფასურების ზარალს. თუ ორგანიზაციამ მიიღო თანხები უკვე ჩამოწერილი აქტივიდან, მაშინ მიღებული თანხები აღირიცხება როგორც შემოსავალი ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში.

საბიუჯეტო ორგანიზაციების მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები ხაზინის მიმართ, საბიუჯეტო სახსრებით ეროვნულ ვალუტაში და საბიუჯეტო ორგანიზაციების მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები ხაზინის მიმართ, არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით ეროვნულ ვალუტაში ელიმინირებულია სახაზინო ოპერაციებთან დაკავშირებული გადასახდელების ანგარიშებთან (შენიშვნა 13).

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ გამოვლენილია გასულ წლებში წარმოშობილი და აღურიცხავი დებიტორული დავალიანებები, რომელიც ძირითადად წარმოშობილია და ეხება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის შედეგად წარმოშობილ მოთხოვნებს. აღნიშნული ფაქტის შედეგად, რეტროსპექტულად მოხდა კაპიტალის და დებიტორული დავალიანებების გადანაწილება.

შენიშვნა N3. მატერიალური მარაგები

მატერიალური მარაგების აღრიცხვას მხარჯავი დაწესებულებები აწარმოებს სსბას 12 სტანდარტის შესაბამისად „მატერიალური მარაგები“ და სააღრიცხვო პოლიტიკით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით.

ცნება და აღიარება

მატერიალური მარაგები ისეთი აქტივებია, რომლებიც გამოიყენება მომსახურების პროცესში ან გასანაწილებელი ნედლეულისა და მასალების სახით, ან განაწილების მიზნით ინახება ოპერირების ჩვეულებრივ რეჟიმში. მატერიალური მარაგები მოიცავს ქონებას, რომელიც მფლობელობაშია განაწილების მიზნით, მზა პროდუქციას, მოხმარებად ნედლეულსა და მასალებს, მცირეფასიან აქტივებს - ტექნიკა ინვენტარი და სხვა მოწყობილობებს.

მცირეფასიანი აქტივები ეს არის 500 ლარზე ნაკლები ღირებულების ტექნიკა, ინვენტარი, მოწყობილობა და სხვა მცირეფასიანი აქტივები, თუ მათი გამოყენების ვადა 1 წელზე მეტია.

მატერიალური მარაგების შესყიდვის საკასო ოპერაციები გაიწევა ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის კატეგორიებიდან.

მატერიალური მარაგები აღრიცხვაში აისახება მაშინ, როდესაც ხდება მათზე საკუთრების ან კონტროლის უფლების მოპოვება.

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

მატერიალური მარაგების თავდაპირველი ღირებულება განისაზღვრება პირვანდელი ან შეძენის ღირებულებით, რომელიც კორექტირებულია ყველა იმ ცვლილებების გათვალისწინებით, რასაც მათი შესყიდვის, უსასყიდლოდ მიღების ან წარმოების/მომსახურების შემდეგ ჰქონდა ადგილი. ასეთი ცვლილებებია: არსებითი გაუმჯობესება, გადაფასება, ამოწურვა, გამოფიტვა, ხარისხის გაუარესება, გაუთვალისწინებელი დამკვლევა, შემთხვევითი დაზიანებით გამოწვეული დანაკარგები და სხვა დანაკარგები. მატერიალური მარაგების მიღება აისახება ღირებულებით, რომელიც მოიცავს მათ შეძენასთან, წარმოებასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს. მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს: მათი შეძენის ფასს, ყველა გადასახდელს დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, სატრანსპორტო ხარჯებს, დამზადების ხარჯებს და ყველა იმ დანახარჯს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მატერიალური მარაგების შეძენასთან. შენახვისა და განაწილების ხარჯები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებაში.

არაგაცვლითი ოპერაციის შედეგად მიღებული მატერიალური მარაგების თავდაპირველი ღირებულება განისაზღვრება გადმოცემის მომენტისათვის არსებული სამართლიანი ღირებულებით. გამონაკლისს

წარმოადგენს საჯარო სექტორის ერთეულიდან მიღება, რომლის დროსაც გამოიყენება გადმოცემი ერთეულის მიერ ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული თვითღირებულების ოდენობა.

სამართლიანი ღირებულების დადგენა ერთჯერადად (მატერიალური მარაგების არაგაცვლითი ოპერაციით მიღებისას საჯარო სექტორის გარდა სხვა პირებიდან ან როდესაც მისი ღირებულება არ შეესაბამება რეალობას) შესაძლებელია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ექსპერტული შეფასებით ან სხვა სანდო ინფორმაციაზე დაყრდნობით, რაც გადაფასების მოდელის გამოყენებად არ ჩაითვლება.

იმ შემთხვევაში, თუ ხარჯთსარგებლიანობის პრინციპიდან გამომდინარე არ არის მიზანშეწონილი ექსპერტული შეფასების მომსახურების შესყიდვა და არ არსებობს სხვა სანდო ინფორმაცია რეალური ღირებულების დასადგენად, მარაგების შეფასება ხდება მიღების დოკუმენტით განსაზღვრული თვითღირებულებით.

იმ მარაგის რეალური ღირებულების განსასაზღვრად, რომელიც მიიღება არაგაცვლითი ოპერაციებიდან გამოიყენება შემდეგი საუკეთესო პრაქტიკა კლებადობით:

✓ მიმღების მიერ მოითხოვება მომწოდებლისგან ღირებულების ან თვითღირებულების მითითება. ამასთან, აფასებს მოწოდებული მონაცემების გონივრულობას და თუ გონივრულად ჩაითვლება, გამოყენებული იქნება ინფორმაცია;

✓ თუ ზემოთ აღნიშნული მეთოდით ვერ ხერხდება რეალური ღირებულების განსაზღვრა, მიმღები ორგანიზაცია დაიქირავებს მესამე დამოუკიდებელ მხარეს.

✓ აუქციონის მიზნებისთვის დადგენილი სარეალიზაციო ღირებულება ორგანიზაციის მიერ განისაზღვრება მარაგის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებად და არ ხდება გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების დადგენა.

მატერიალური მარაგები რომლებიც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის მხარჯავ დაწესებულებებს შორის გადაცემულია როგორც მიმდინარე გრანტი სასაქონლო ფორმით ანგარიშგებაში ელიმინირებულია (ამოღებულია ანგარიშგებიდან). თუმცა არსებობს გამონაკლისები;

✓ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ ა(ა)იპ – მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლეს გადაეცა ქალაქ ბათუმში, ლეონიძის ქ. N 15-ში მდებარე საფეხბურთო ტექნიკური ცენტრი/სტადიონის სხვადასხვა მატერიალური აქტივები 16.61 ათასი ლარის ღირებულების. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ აქტივების გადაცემა ასახა - სხვა დანარჩენი მასალები და მარაგები 1-14-1420, ხოლო ა(ა)იპ – მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლეს აქტივების მიღება ასახული აქვს მცირეფასიანი აქტივები 1-14-1410 ანგარიშზე. შესაბამისად შენიშვნა N3 ში სასაქონლო ფორმით მიღებული გრანტის ელიმინირება ვერ განხორციელდა. შევნიშნავთ, რომ აღნიშნული ოპერაცია ელიმინირებულია შენიშვნა 14-სა და შენიშვნა - 17-ში. შენიშვნა N4. სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივები

წინასწარ გადახდილი აქტივის შეფასება ხდება გადახდილი თანხის მიხედვით, ხოლო თუ თანხის გადახდა მოხდა უცხოურ ვალუტაში გადახდის დღეს არსებული ოფიციალური კურსის ეკვივალენტად ლარებში.

გადაანგარიშებული საწყისი ნაშთის შესახებ ინფორმაცია მოცემულია ცხრილი N1-ში.

შენიშვნა N5. გრძელვადიანი ფინანსური აქტივები

ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში რეგულირდება სსბასს 35 - „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება“ და სსბასს 36 - „ინვესტიციები მეკავშირე ერთეულებსა და ერთობლივ საქმიანობებში“

სსბასს 35 - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ადგენს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენისა და მომზადების პრინციპებს, როდესაც ერთეული აკონტროლებს ერთ ან რამდენიმე სხვა ერთეულს. სტანდარტი ადგენს კონტროლს, როგორც კონსოლიდაციის საფუძველს.

მხარჯავი დაწესებულება კონტროლს ახორციელებს როგორც საბიუჯეტო ორგანიზაციებზე, ასევე ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებზე. სტანდარტის შესაბამისად, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უნდა მოიცავდეს მაკონტროლებელი ერთეულის ყველა კონტროლირებულ ერთეულს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების ფინანსური ანგარიშგებები არ კონსოლიდირდება სტანდარტის მოთხოვნათა შესაბამისად. ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში არსებული წილების ასახვისათვის გამოიყენება კაპიტალ-მეთოდი.

ცნება და აღიარება

ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში არის მხარჯავი დაწესებულების კონტროლს დაქვემდებარებულ ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში, მეკავშირე ერთეულებსა და ერთობლივ საქმიანობებში (ინვესტირებული ერთეულები) განხორციელებული როგორც თანხობრივი, ასევე

ქონებრივი შენატანები. ამ ტიპის ინვესტიციები აღირიცხება კაპიტალ-მეთოდის გამოყენებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს მტკიცებულება, რომ ინვესტიცია შეძენილია და გამოიხსნება მხოლოდ გასაყიდად შეძენიდან 12 თვის განმავლობაში. რა შემთხვევაშიც ინვესტიცია კლასიფიცირდება როგორც გასაყიდად გამოიხსნება და აღირიცხება თვითღირებულებით.

ინვესტიციის აღიარების საფუძველია ოპერაცია, რომელიც ადასტურებს ინვესტირებული ერთეულისთვის აქტივის გადაცემას. ინვესტიცია აღიარდება მხარჯავი დაწესებულების კონტროლს დაქვემდებარებულ სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში ფინანსური აქტივების ზრდის მუხლიდან განხორციელებული შენატანების საფუძველზე. სხვა შემთხვევაში შენატანები აღიარდება ხარჯად, მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად - სუბსიდიები, ხოლო გრძელვადიანი აქტივების დასაფინანსებლად - სხვა კაპიტალური ხარჯები.

საწარმოს კაპიტალში შენატანის გაზრდა/წილის შესყიდვა შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს ბოლო 3 წლის (აუდირებული) ანგარიშებიდან 2 წელიწადში მაინც არ აქვს ზარალი. თავდაპირველი და შემდგომი შეფასება

ინვესტიცია თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით, როგორც გრძელვადიანი ფინანსური აქტივი. ინვესტიცია იზრდება ან მცირდება ინვესტირებული ერთეულის მიერ ინვესტიციის აღიარების თარიღის შემდეგ მიღებულ მოგებაში ან ზარალში მხარჯავი დაწესებულების წილის პროპორციულად. ინვესტიცია ასევე მცირდება ინვესტირებული ერთეულიდან განაწილების ფორმით მიღებული თანხებით.

მიღებული დივიდენდი არ აღიარდება შემოსავლად. დივიდენდის გამოცხადების შედეგად მცირდება ინვესტიცია და იზრდება მოთხოვნა საწარმოს მიმართ.

ინვესტიციის აღიარების თარიღის შემდეგ ინვესტირებული ერთეულის მიერ მიღებულ მოგებაში ან ზარალში აღიარდება მხარჯავი დაწესებულების წილი. იგივე თანხა აისახება ამავე დაწესებულების ნამეტსა და დეფიციტში.

თუ მხარჯავი დაწესებულების წილი ინვესტირებული ერთეულის ზარალში ტოლია ან აღემატება მის წილს ინვესტირებულ ერთეულში, მხარჯავი დაწესებულება წყვეტს შემდგომი პერიოდის ზარალში მისი წილის აღიარებას.

მას შემდეგ, რაც მხარჯავი დაწესებულების წილი ნულამდე ეცემა, დამატებითი დეფიციტი და ვალდებულებები არ აღიარდება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ადგილი აქვს ინვესტირებული ერთეულის სახელით იურიდიული და კონსტრუქციული ვალდებულებების აღებას ან გადახდების შესრულებას. თუ ინვესტირებული ერთეული შემდგომში აღიარებს ნამეტს, მხარჯავი დაწესებულება განაახლებს თავისი წილის აღიარებას ამ ნამეტში მას შემდეგ, რაც მისი წილი ნამეტში გაუტოლდება დეფიციტში მის წილს, რომელიც არ ჰქონდა აღიარებული.

გაუფასურება

მხარჯავი დაწესებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ადგენს ინვესტიციის გაუფასურების ინდიკატორების არსებობას, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ და თუ ასეთი არსებობს, მაშინ ატარებს გაუფასურების ტესტს. გაუფასურების ზარალი აღიარდება ხარჯად და ამცირებს ინვესტიციის მიმდინარე ღირებულებას.

ჩამოწერა

ინვესტიციების ჩამოწერა ხდება მაშინ, როდესაც

1. მხარჯავ დაწესებულებას მიღებული აქვს აქტივთან დაკავშირებული ყველა თანხა;
2. მისაღებ თანხებთან დაკავშირებული ყველა უფლებები გადაეცა სხვა პირს;
3. თანხების მიღება შეუძლებელია. ამ შემთხვევაში მხარჯავი დაწესებულება მთლიანად აკეთებს აქტივის გაუფასურებას და შემდეგ ანულებს შესაბამის აქტივსა და აკუმულირებული გაუფასურების ზარალს. თუ მხარჯავმა დაწესებულებამ მიიღო თანხები უკვე ჩამოწერილი აქტივიდან, მაშინ მიღებული თანხები აღირიცხება როგორც შემოსავალი ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში.

მხარჯავი დაწესებულების მიერ საწარმოების მართვის უფლებით გადაცემის შემთხვევაში (მიუხედავად იმისა რომ მესაკუთრედ კვლავ შესაძლოა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა დარჩეს), თუ სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი და არსებითად აქციონერის ყველა უფლებამოსილება გადაეცემა მესამე პირს, საწარმოს თვითღირებულება ჩამოიწერება ბალანსიდან და აღიარდება ხარჯად. თუ შემდგომში მოხდება ამ წილის დაბრუნება, აღიარდება შესაბამისი შემოსავალი.

წარდგენა

მხარჯავი დაწესებულების კონტროლს დაქვემდებარებული სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოები, მის მიერ დადგენილ ვადაში, წარუდგენენ ფინანსურ ანგარიშგებებს, რაც საჭიროა ინვესტიციების კაპიტალ-მეთოდით აღრიცხვისთვის. საწარმოების აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების შემდეგ, წარდგენილ ინფორმაციასა და აუდიტირებულ ფინანსურ ინფორმაციას შორის

განსხვავებების არსებობის შემთხვევაში, მიღებული შედეგი აისახება, როგორც წინა პერიოდის არსებითი შეცდომის რეტროსპექტული გასწორება.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ მოხდა „ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში“ 1-21-2000 ანგარიშის საწყისი ნაშთის გადაანგარიშება, რომელიც გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ წილობრივად დაფუძნებული ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი იქნა 2022 წლის ფინანსური ანგარიშგებები, სადაც შეცვლილი იყო მათი საკუთარი კაპიტალის მოცულობა. აღნიშნული ფაქტის შედეგად, რეტროსპექტულად მოხდა კაპიტალის და დებიტორული დავალიანებების გადაანგარიშება, კერძოდ „ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში“ 1-21-2000 ანგარიშის საწყისი ნაშთი გაიზარდა - 27,841.68 ათასი ლარის ოდენობით.

2023 წლის განმავლობაში „ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში“ 1-21-2000 ანგარიში „კაპიტალ მეთოდის“ სახით გაიზარდა - 4.0 ათასი ლარის ოდენობით. რაც გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ წილობრივად დაფუძნებულ შპს აჭარის ნარჩენების მართვის კომპანიის საწესდებო კაპიტალში შეტანილი იქნა სსიპ აჭარის სატყეოს სააგენტოს ბალანსზე რიცხული ნერგები, რაც შესაბამისად აისახა 1-21-2000 ანგარიშზე.

2023 წლის განმავლობაში „ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში“ 1-21-2000 ანგარიში „სხვა ზრდის“ სახით გაიზარდა - 34,261.29 ათასი ლარის ოდენობით, რაც გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ წილობრივად დაფუძნებულ სხვადასხვა ორგანიზაციების საწესდებო კაპიტალში შეტანილი იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოდრავი ქონება, რაც შესაბამისად აისახა 1-21-2000 ანგარიშზე.

2023 წლის განმავლობაში „ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში“ 1-21-2000 ანგარიში „კაპიტალ მეთოდის“ სახით შემცირდა - 1,911.90 ათასი ლარის ოდენობით. რაც გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ წილობრივად დაფუძნებულ შპს Goderdzi Resorts საწესდებო კაპიტალიდან გამოტანილია წინასწარ გაწეული ხარჯების“ (აქტივების) მუხლში რიცხული გადახდილი კომპენსაციები. შესაბამისად შემცირდა საკუთარი კაპიტალის მოცულობა, რაც შესაბამისად აისახა 1-21-2000 ანგარიშზე.

2023 წლის განმავლობაში „ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში“ 1-21-2000 ანგარიში „სხვა კლების“ სახით შემცირდა - 147,550.70 ათასი ლარის ოდენობით, რაც გამოწვეულია შემდეგი მიზეზებით: 1. აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ წილობრივად დაფუძნებულ სხვადასხვა ორგანიზაციების საწესდებო კაპიტალიდან გამოტანილი იქნა სხვადასხვა სახის უძრავ-მოდრავი ქონება, ღირებულებით - 146,373.20 ათასი ლარის ოდენობით, რაც შესაბამისად აისახა კლების სახით 1-21-2000 ანგარიშზე. 2. აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება წილობრივად დაფუძნებული ორგანიზაციების გაუნაწილებელი მოგებიდან დივიდენდის სახით თანხის ამოღებაზე, თანხით - 1,177.48 ათასი ლარის ოდენობით, რაც შესაბამისად აისახა კლების სახით 1-21-2000 ანგარიშზე.

„სხვა გრძელვადიანი დებიტორული დავალიანებები და არაფულადი მოთხოვნების“ 1-21-4000 ანგარიშის საწყისი ნაშთის გადაანგარიშება გამოწვეულია შემდეგი მიზეზებით: 1. მიმდინარე წელს გამოვლენილი იქნა სამინისტროს ბალანსზე რიცხული ისეთი ქონება, რომელიც გასულ წლებში მოთხოვნამდე ვადით გადაცემული იყო სხვადასხვა ორგანიზაციებზე. შედეგად მოხდა რეტროსპექტულად აღნიშნული ქონების ბალანსიდან მოხსნა და „გრძელვადიანი ფულადი და არაფულადი მოთხოვნები არაგაცვლით ოპერაციებთან დაკავშირებით“ 1-21-4200 ანგარიშის საწყისი ნაშთის ზრდა - 27,844.08 ათასი ლარის ოდენობით. 2. 2023 წელს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ გაწეული რეკომენდაციის შესაბამისად, რეტროსპექტულად მოხსნილია და გადატანილია საცნობარო მუხლში, ისეთი დებიტორული დავალიანებები, რომელიც წარმოშობილი იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონების პირობით გაყიდვის შედეგად. რეკომენდაციის შესაბამისად, მოხდა რეტროსპექტულად აღნიშნული „სხვა დანარჩენი გრძელვადიანი დებიტორული დავალიანებები და არაფულადი მოთხოვნები“ 1-21-4300 ანგარიშის საწყისი ნაშთის შემცირება - -77,666.72 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული ოპერაციების შედეგად, „სხვა გრძელვადიანი დებიტორული დავალიანებები და არაფულადი მოთხოვნების“ 1-21-4000 ანგარიშის საწყისი ნაშთი შემცირდა - 49,822.64 ათასი ლარის ოდენობით.

2023 წლის განმავლობაში „სხვა გრძელვადიანი დებიტორული დავალიანებები და არაფულადი მოთხოვნების“ 1-21-4000 ანგარიში „სხვა ზრდის“ სახით გაიზარდა - 3,342.60 ლარის ოდენობით, რაც გამოწვეულია შემდეგი მიზეზებით: 1. აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ 2023 წელს სხვადასხვა ორგანიზაციებს უსასყიდლოდ მოთხოვნამდე ვადით გადაეცა უძრავ-მოდრავი ქონება, ღირებულებით - 830.59 ათასი ლარის ოდენობით, რაც შესაბამისად ზრდის აისახა 1-21-4200 ანგარიშზე. 2. აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ 2023 წელს რეალიზებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული

ქონება, სადაც მყიდველებს საპრივატიზებო თანხის გადახდის ვალდებულება წარმოეშვათ 1 წელზე მეტი ხნის შემდეგ, ღირებულებით - 2,512.00 ათასი ლარის ოდენობით, რაც შესაბამისად ზრდის აისახა 1-21-4300 ანგარიშზე.

2023 წლის განმავლობაში „სხვა გრძელვადიანი დებიტორული დავალიანებები და არაფულადი მოთხოვნების“ 1-21-4000 ანგარიში „რეკლასიფიცირების“ სახით შემცირდა - -10,178.25 ათასი ლარის ოდენობით, რადგან, აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ პირობითი ფორმით ქონების პრივატიზების ხელშეკრულების პირობის თანახმად მყიდველებს დაუდგათ ვალდებულება საპრივატიზებო თანხის გადახდა 2024 წელს, რამაც განაპირობა გრძელვადიანი მოთხოვნის ანგარიშის რეკლასიფიცირება მოკლევადიან მოთხოვნის ანგარიშზე, რაც შესაბამისად აისახა კლების სახით 1-21-4300 ანგარიშზე.

2023 წლის განმავლობაში „სხვა გრძელვადიანი დებიტორული დავალიანებები და არაფულადი მოთხოვნების“ 1-21-4000 ანგარიში „სხვა კლების“ სახით შემცირდა - 3,071.62 ათასი ლარის ოდენობით, რაც გამოწვეულია შემდეგი მიზეზებით: 1. აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების შედეგად პირის მიმართ წარმოშობილი ქონდა გრძელვადიანი დებიტორული დავალიანება, თუმცა მყიდველის მიერ ვადაზე ადრე დაფარა საპრივატიზებო თანხა - 109.12 ათასი ლარის ოდენობით, რაც შესაბამისად აისახა კლების სახით 1-21-4300 ანგარიშზე. 2. აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, მყიდველთან ცალმხრივად შეწყდა ხელშეკრულება, სადაც მყიდველის მიმართ დარჩენილი საპრივატიზებო თანხა შეადგენდა - 2,962.50 ლარს. ხელშეკრულების პირობის თანახმად, მყიდველს გაუუქმდა პრივატიზებული ქონება და აღდგენილი იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებად. რის შედეგად, ასევე მოხდა დარჩენილი გადასახდელი საპრივატიზებო თანხის ჩამოწერაც, რაც შესაბამისად აისახა კლების სახით 1-21-4300 ანგარიშზე. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამინისტრო გააჩნია 100%-ანი წილი შემდეგ კერძო სამართლის იურიდიულ პირებში; შპს „სალიხ აბაშიძის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონული ცენტრის“, შპს „ქ. ბათუმის N 1 პოლიკლინიკა“, შპს „სამედიცინო განათლება“ და შპს „აჭარის ა რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამშენებლო და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა“. 2021-2022 წლების ხსენებული შპს-ების ბალანსებში არ იყო ასახული სამინისტროს წილის კაპიტალ მეთოდით ზრდა. შესაბამისად 2023 წელს აღნიშნული დაკორექტირდა 13,884.40 ათასი ლარით.

დეტალური ინფორმაცია გადაანგარიშებული საწყისი ნაშთის შესახებ მოცემულია ცხრილი N1-ში.

შენიშვნა N6. ძირითადი აქტივები

მხარჯავი დაწესებულებები ძირითადი აქტივების აღრიცხვას აწარმოებს სსბასს 17 სტანდარტის შესაბამისად - განსაზღვრული წესებით და პირობებით.

ძირითადი აქტივი არის გრძელვადიანი მატერიალური აქტივი, რომელიც გამოიყენება საქონლის ან მომსახურების მიწოდებაში ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის და ამ აქტივის გამოყენებით მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის მიღება.

ძირითადი აქტივებით ოპერაციები აღრიცხვაში აისახება მაშინ, როდესაც ხდება მათზე საკუთრების ან მუდმივი სარგებლობის უფლების მოპოვება ან დათმობა, ოპერაცია აღრიცხვაში აისახება მფლობელის შეცვლის ან კონტროლის უფლების გადაცემის მომენტში.

აქტივი აღიარდება ძირითად აქტივად, თუ:

- ✓ იმყოფება ორგანიზაციის კონტროლის ქვეშ და გამოიყენება ადმინისტრაციული მიზნებისთვის;
- ✓ გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად და მისი ღირებულება აღემატება 500 ლარს.

- ✓ შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

ძირითადი აქტივის აღიარება და შეფასება

ძირითადი აქტივი, რომელიც შეძენილია გაცვლითი ოპერაციების შედეგად, თავდაპირველი აღიარებისას უნდა შეფასდეს თვითღირებულებით.

ძირითადი აქტივის თვითღირებულება მოიცავს:

- ✓ შესყიდვის ღირებულებას, მათ შორის იმპორტის გადასახადებს და დაუბრუნებად შესყიდვის გადასახადებს, ნებისმიერი სავაჭრო თუ სხვა სახის ფასდათმობების გამოვლებით;
- ✓ აქტივის იმ ადგილმდებარეობასა და მდგომარეობაში მიყვანაზე პირდაპირ მიკუთვნებად ხარჯებს, რომელიც აუცილებელია იმისათვის, რომ შეძლოს მენეჯმენტის განზრახვასთან შესაბამისად ფუნქციონირება;
- ✓ აქტივის დემონტაჟის და ადგილმდებარეობის აღდგენის (ექსპლუატაციიდან ამოღების ვალდებულების) ხარჯების თავდაპირველ შეფასებას, თუ ვალდებულება წარმოიშვა მაშინ, როდესაც მოხდება საგნის შესყიდვა.

პირდაპირ მიკუთვნებად ხარჯებს წარმოადგენს:

- ✓ ადგილმდებარეობის მომზადების ხარჯები;
- ✓ თავდაპირველი მიწოდების და დამუშავების ხარჯები;
- ✓ მონტაჟისა და აწყობის ხარჯები;
- ✓ პროფესიული მომსახურების საფასური;
- ✓ ტესტირების დანახარჯები, რომელიც გაიწევა იმის დასადგენად, მუშაობს თუ არა აქტივი გამართულად.

გაუმჯობესებაზე გაწეული დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ იგი ზრდის აქტივის გამოყენების ვადას ან ზრდის მის მომსახურების პოტენციალს. ნებისმიერი სხვა დანახარჯი აღიარდება, როგორც ხარჯი ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში.

ძირითადი აქტივის განუყოფელი ნაწილი აღიარდება არსებით გაუმჯობესებად და აისახება როგორც აქტივის მიღება. ძირითადი აქტივის განუყოფელ ნაწილად აღიარების კრიტერიუმებია მისი დემონტაჟის შესაძლებლობა მისი ან ძირითადი აქტივის დაუზიანებლად: თუ სხვა აქტივზე მისი მონტაჟის დანახარჯი არსებითია და თუ მისი დემონტაჟი იწვევს ძირითადი აქტივიდან მისაღები ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის არსებითად შემცირებას.

თუ აქტივის მიღება ხდება არაგაცვლითი ოპერაციის შედეგად, მისი თვითღირებულება განისაზღვრება მიღების თარიღისთვის დადგენილი სამართლიანი (რეალური) ღირებულებით. რეალური ღირებულების დადგენა ერთჯერადად შესაძლებელია სანდო ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში, რაც სამართლიანი ღირებულების მოდელის გამოყენებად არ ჩაითვლება. ამასთან, ძირითადი აქტივის საჯარო სექტორის ერთეულიდან არაგაცვლითი ოპერაციის შედეგად მიღების შემთხვევაში, მოცემული აქტივის აღიარებისთვის გამოიყენება გადმოცემი ერთეულის მიერ ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული თვითღირებულების ოდენობა.

აქტივის საჯარო სექტორის გარდა სხვა კერძო სექტორისგან, საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და ასევე უცხო ქვეყნის მთავრობებიდან არაგაცვლითი ოპერაციის შედეგად მიღების შემთხვევაში, მოცემული აქტივი აღიარდება სამართლიანი (რეალური) ღირებულებით.

იმ შემთხვევაში, თუ ხარჯთსარგებლიანობის პრინციპიდან გამომდინარე არ არის მიზანშეწონილი ექსპერტული შეფასების მომსახურების შესყიდვა და არ არსებობს სხვა სანდო ინფორმაცია რეალური ღირებულების დასადგენად, ძირითადი აქტივების შეფასება ხდება მიღების დოკუმენტით განსაზღვრული თვითღირებულებით.

აქტივის რეალური ღირებულების განსაზღვრად, რომელიც სახაზინო სამსახურმა მიიღო არაგაცვლითი ოპერაციებიდან გამოიყენება შემდეგი საუკეთესო პრაქტიკა კლებადობით:

- ✓ მხარჯავი დაწესებულება შეეცდება მოიპოვოს მსგავსი აქტივის საბაზრო ფასი;
- ✓ თუ საბაზრო ფასები პრაქტიკულად არ არის ხელმისაწვდომი, მხარჯავი დაწესებულება გამოიყენებს მსგავსი აქტივის ბოლო შეძენის ხარჯებს;
- ✓ თუ ფასის განსაზღვრა შეუძლებელია ბაზრის ან შიდა შესყიდვების მონაცემების საფუძველზე, მხარჯავი დაწესებულება მოითხოვს მომწოდებლისგან ღირებულების ან თვითღირებულების მითითებას. ამასთან, აფასებს მოწოდებული მონაცემების გონივრულობას და თუ გონივრულად ჩაითვლება, გამოყენებული იქნება ინფორმაცია;
- ✓ და ბოლოს, თუ ზემოთ ჩამოთვლილი მეთოდებით ვერ ხერხდება რეალური ღირებულების განსაზღვრა, მხარჯავი დაწესებულება დაიქირავებს მესამე დამოუკიდებელ მხარეს.

შექმნილი აქტივის ღირებულება განისაზღვრება შეძენილი აქტივის ანალოგიურად. ძირითადი აქტივი თავდაპირველი აღიარების შემდგომ აისახება თვითღირებულების მოდელის გამოყენებით, რაც გულისხმობს ყოველი წლის ბოლოს ძირითადი აქტივის საბალანსო ღირებულებით ასახვას ფინანსურ ანგარიშგებაში.

საცნობარო ანგარიშებზე ასახული აქტივების რეალური ღირებულების დადგენა განიხილება არსებითი შეცდომების შესწორებად და აისახება რეტროსპექტულად.

მხარჯავის მიერ აღურიცხავი აქტივების რეალური ღირებულების დადგენა განიხილება არსებითი შეცდომების შესწორებად და აისახება რეტროსპექტულად.

თავდაპირველი აღიარების შემდგომი შეფასება

თავდაპირველი აღიარების შემდგომ გაწეული ხარჯი

თავდაპირველი აღიარების შემდგომ გაწეული დანახარჯები ნაწილი კაპიტალიზდება აქტივის თვითღირებულებაზე, ხოლო ნაწილი ჩამოიწერება პერიოდის შედეგების ანგარიშგებაში.

თავდაპირველი აღიარების შემდგომ ძირითადი აქტივების ყოველდღიური მომსახურების დანახარჯები, რომლებიც უნარჩუნებენ აქტივს მოსალოდნელ ეკონომიკურ სარგებელს ან მომსახურების პოტენციალს, აღიარდება პერიოდის შედეგების ანგარიშგებაში როგორც ხარჯი, იმიტომ, რომ ისინი არ ზრდიან აქტივის

სამომავლო ეკონომიკურ ღირებულებას. ყოველდღიური მომსახურების ხარჯები მოიცავს შრომის და ნედლეულის ხარჯებს და შეიძლება მოიცავდეს მცირე და სათადარიგო ნაწილების ხარჯებსაც. იმ შემთხვევაში, თუკი მოსალოდნელია რომ გაწეული ხარჯის შედეგად მოცემული აქტივიდან დამატებითი სამომავლო ეკონომიკური სარგებელი შემოედინება და აქტივის ღირებულების სანდოდ შეფასება შესაძლებელია, მაშინ ასეთი დანახარჯები კაპიტალიზდება აქტივის ღირებულებაზე.

იმ შემთხვევაში თუ ძირითადი აქტივების ინვენტარიზაციის დროს დაწესებულება გამოავლენს რაოდენობრივ ან მოცულობით ცვლილებებს, გამოვლენილი ცვლილებები აისახება, როგორც კორექტირებები კაპიტალის სხვა ცვლილებების შედეგად.

ცვეთა

დაწესებულებები ძირითად აქტივებზე ცვეთის დარიცხვას აწარმოებს წრფივი მეთოდის გამოყენებით.

ცვეთადი თანხა განისაზღვრება აქტივის თვითღირებულებასა და მის ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობით. ნარჩენი ღირებულება, როგორც წესი, უმნიშვნელოა და არის ნულის ტოლი.

ძირითად აქტივს ცვეთა ერიცხება მას შემდეგ, როცა შესაძლებელი იქნება მისი გამოყენება, ანუ მაგ: როცა აქტივი არის იმ ადგილას და ისეთ მდგომარეობაში, რომელიც აუცილებელია დაწესებულების დასახული მიზნებისა და დანიშნულების მისაღწევად.

ძირითად აქტივს ცვეთა აღარ ერიცხება მას შემდეგ, როდესაც ხდება მისი აღიარების შეწყვეტა.

2021 წლის პირველ იანვრამდე ძირითად აქტივებს, მიუხედავად იმისა, საანგარიშო წლის რომელ თვეშია იყო მიღებული, ცვეთა ერიცხება სრული კალენდარული წლისათვის. 2021 წლის პირველი იანვრიდან დაწესებულებები ცვეთის პროპორციული დარიცხვისათვის იყენებს თვეების მიხედვით დამრგვალების მეთოდს.

2021 წლის პირველი იანვრიდან მიღებული ახალი ცვეთადი აქტივებისთვის სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილი მინიმალური ვადების გათვალისწინებით. ექსპლუატაციაში მყოფ ცვეთად აქტივებს დაწესებულებები აღიარებს თვითღირებულებით და მომსახურების ვადები განისაზღვრება 2021 წლის 1 იანვრამდე გამოყენებული ცვეთის ნორმების შესაბამისად.

სააღრიცხვო შეფასების ცვლილების შემთხვევაში, აქტივს თავიდან განესაზღვრება სასარგებლო მომსახურების ვადა. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრისას არ გაითვალისწინება ცვეთის ინსტრუქციით დადგენილი სასარგებლო მომსახურების მინიმალური ვადები.

იმ აქტივებზე, რომელთა სასარგებლო მომსახურების მინიმალური ვადები არ არის განსაზღვრული მოქმედი კანონმდებლობით, ცვეთის დარიცხვისთვის დაწესებულება იყენებს ერთგვაროვანი (ანალოგიური) აქტივებზე არსებული სასარგებლო მომსახურების მინიმალურ ვადებს.

ცვეთადი აქტივის გადაფასების შედეგად ან მისი არსებითი გაუმჯობესების შემთხვევაში, აქტივის ღირებულების ზრდის/აღიარების შემდეგ, მოცემული აქტივის ცვეთის თანხა კორექტირდება შემდეგი პერიოდებისათვის, რათა მოხდეს აქტივის საბალანსო ღირებულების სისტემატური განაწილება აქტივის დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. თუ ასეთი გადაფასების შედეგად იზრდება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადაც, ცვეთის განსაზღვრისათვის გაზრდილ სასარგებლო მომსახურების ვადაზე იყოფა აქტივის გაზრდილი ღირებულება.

ცვეთადი აქტივის გადაფასების შედეგად აქტივის ღირებულების შემცირების შემთხვევაში, მოცემული აქტივის შემდგომი პერიოდების ცვეთის თანხა კორექტირდება, რათა მოხდეს აქტივის საბალანსო ღირებულების სისტემატური განაწილება აქტივის დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. თუ ასეთი გადაფასების შედეგად მცირდება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადაც, ცვეთის განსაზღვრისათვის შემცირებულ სასარგებლო მომსახურების ვადაზე იყოფა აქტივის შემცირებული ღირებულება.

სრულად გაცვეთილი აქტივის გადაფასებისას, მოცემული აქტივის ცვეთად თანხად განისაზღვრება გადაფასების შედეგად განსაზღვრული თანხა, რომელსაც ცვეთა ერიცხება სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში და რომლის განსაზღვრისას არ გაითვალისწინება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი სასარგებლო მომსახურების მინიმალური ვადები.

ცვეთადი აქტივის გადაფასებისას მოცემული აქტივის პირვანდელი (თავდაპირველი) ღირებულების და აკუმულირებული (დაგროვილი) ცვეთის გადაანგარიშებისას დაწესებულება იყენებს გადაფასების ელიმინაციის მეთოდს.

ანგარიშგების კონსოლიდაციის შედეგად ელიმინირებულია ის ძირითადი აქტივები, რომელთა გადაცემა განხორციელდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის მხარჯავ დაწესებულებებს შორის, სასაქონლო კაპიტალური გრანტების სახით. მაგრამ არსებობს გამოწვევები რომელთა ელიმინირება ვერ განხორციელდა. მაგალითად:

✓ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ გადაცემულია ავტოსატრანსპორტო საშუალება 65.40 ათასი ლარის ღირებულებით. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ავტოსატრანსპორტო საშუალება აღრიცხული ჰქონდა - აქტივები, რომელთა საკუთრების უფლება ჯერ არ არის მოპოვებული ან სხვა ერთეულებზე გადასაცემდაა მიღებული 1-27-4200 საბუღალტრო ანგარიშზე, შესაბამისად კაპიტალური გრანტი სასაქონლო ფორმით აისახა შენიშვნა N 11 -ში, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალება მიღებულ იქნა სასაონლო კაპიტალურტი გრანტის სახით - სატრანსპორტო მოწყობილობა 1-22-2100 საბუღალტრო ანგარიშზე, შენიშვნა N 6. სასაქონლო კაპიტალური გრანტის სახით გადაცემული მოძრავი საშუალების ელიმინირება ვერ განხორციელდა.

✓ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ ა(ა)იპ - მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სასაპორტო სკოლას სასაქონლო კაპიტალური გრანტის სახით გადასცა ქალაქ ბათუმში ლეონიძის ქ. N15 - ში მდებარე საფეხბურთო ტექნიკური ცენტრის/სტადიონის ძირითადი აქტივები. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს აქტივის აღრიცხული ჰქონდა - აქტივები, რომელთა საკუთრების უფლება ჯერ არ არის მოპოვებული ან სხვა ერთეულებზე გადასაცემდაა მიღებული 1-27-4200 საბუღალტრო ანგარიშზე 10,474.94 ათასი ლარის ღირებულების, ხოლო ა(ა)იპ - მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სასაპორტო სკოლამ 10,462.89 ათასი ლარი აღრიცხა სხვა ნაგებობებში - 1-22-1300 და 12.05 ათასი ლარი კი სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი 1-22-2220 საბუღალტრო ანგარიშებზე. შესაბამისად აქტივების გაცემა ასახა შენიშვნა N 11 - ში, ხოლო აქტივების მიღება კი შენიშვნა N 6 - ში და მათი ელიმინირება, ანუ კონსოლიდირებული ანგარიშებიდან ამოღება ვერ განხორციელდა.

ანგარიშგებაში ელიმინირებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის მხარჯავი დაწესებულების მიერ იმავე დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული აქტივების დაგროვილი ცვეთის მიღება და გასვლა.

გადაანგარიშებული საწყისი ნაშთის შესახებ ინფორმაცია მოცემულია ცხრილი N1-ში.

შენიშვნა N8. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების აღრიცხვისას გამოიყენება სსბას 31 სტანდარტი - „არამატერიალური აქტივები“ არსი და კლასიფიკაცია

არამატერიალური აქტივი არის იდენტიფიცირებადი არაფულადი, განცალკევებადი აქტივი, ფიზიკური ფორმის გარეშე.

აღიარება და შეფასება

არამატერიალური აქტივი აღიარდება მხოლოდ მაშინ, როდესაც სავარაუდოა აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის მიღება და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

აქტივი აღიარდება არამატერიალურ აქტივად თუ:

- ✓ აქტივი იდენტიფიცირებადი;
- ✓ ერთეული აკონტროლებს აღნიშნულ აქტივს;
- ✓ მოსალოდნელია, რომ ერთეული მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს ან მომსახურების პოტენციალს;
- ✓ გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად;
- ✓ შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

არამატერიალური აქტივების აღრიცხვისას მხარჯავი დაწესებულება იყენებს თვითღირებულების მოდელს.

არამატერიალური აქტივის თვითღირებულება მოიცავს მისი შესყიდვის ფასს, იმპორტის მოსაკრებელისა და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, შეღავათების და ფასდაკლებების გამოკლების შემდეგ და დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად მომზადებისათვის გაწეულ პირდაპირ მიკუთვნებად დანახარჯებს.

შენიშვნა N 11. სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივები

სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივები გადაანგარიშებული საწყისი ნაშთები და კაპიტალის კორექტირებები მოცემულია ცხრილი N1 ში. კონსოლიდაციის პროცესში ნაწილობრივ ელიმინირებულია სასაქონლო ფორმით იმავე დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული და გადაცემული გრანტები. ელიმინიცია სრულად ვერ განხორციელდა შემდეგი მიზეზების გამო;

✓ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ ა(ა)იპ მუხრან - ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლეს გადაეცა ქალაქ ბათუმში, ლეონიძის ქ. N 15-ში მდებარე საფეხბურთო ტექნიკური ცენტრი/სტადიონის სხვადასხვა მატერიალური აქტივები 16.61 ათასი

ლარის ღირებულების. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ აქტივების გადაცემა ასახა - სხვა დანარჩენი მასალები და მარაგები 1-14-1420, ხოლო ა(ა)იპ - მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლეს აქტივების მიღება ასახული აქვს მცირეფასიანი აქტივები 1-14-1410 ანგარიშზე. შესაბამისად შენიშვნა N3-ში სასაქონლო ფორმით მიღებული გრანტის ელიმინირება ვერ განხორციელდა.

✓ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ გადაცემულია ავტოსატრანსპორტო საშუალება 65.40 ათასი ლარის ღირებულებით. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ავტოსატრანსპორტო საშუალება აღრიცხული ჰქონდა - აქტივები, რომელთა საკუთრების უფლება ჯერ არ არის მოპოვებული ან სხვა ერთეულებზე გადასაცემდაა მიღებული 1-27-4200 საბუღალტრო ანგარიშზე, შესაბამისად კაპიტალური გრანტი სასაქონლო ფორმით აისახა შენიშვნა N 11-ში, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალება მიღებულ იქნა სასაქონლო კაპიტალური გრანტის სახით - სატრანსპორტო მოწყობილობა 1-22-2100 საბუღალტრო ანგარიშზე, შენიშვნა N 6. სასაქონლო კაპიტალური გრანტის სახით გადაცემული მოძრავი საშუალების ელიმინირება ვერ განხორციელდა.

✓ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ ა(ა)იპ - მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სასპორტო სკოლას სასაქონლო კაპიტალური გრანტის სახით გადასცა ქალაქ ბათუმში ლეონიძის ქ. N15-ში მდებარე საფეხბურთო ტექნიკური ცენტრის/სტადიონის ძირითადი აქტივები. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს აქტივის აღრიცხული ჰქონდა - აქტივები, რომელთა საკუთრების უფლება ჯერ არ არის მოპოვებული ან სხვა ერთეულებზე გადასაცემდაა მიღებული 1-27-4200 საბუღალტრო ანგარიშზე 10,474.94 ათასი ლარის ღირებულების, ხოლო ა(ა)იპ - მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სასპორტო სკოლამ 10,462.89 ათასი ლარი აღრიცხა სხვა ნაგებობებში - 1-22-1300 და 12.05 ათასი ლარი კი სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი 1-22-2220 საბუღალტრო ანგარიშებზე. შესაბამისად აქტივების გაცემა ასახა შენიშვნა N 11-ში, ხოლო აქტივების მიღება კი შენიშვნა N 6 - ში და მათი ელიმინირება, ანუ კონსოლიდირებული ანგარიშებიდან ამოღება ვერ განხორციელდა.

შენიშვნა: შენიშვნა N 3, შენიშვნა N6 და შენიშვნა N 11-ში განხორციელებული ნაწილობრივი ელიმინაციის მიუხედავად, იმავე დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული მიმდინარე და კაპიტალური გრანტები სრულად არის ელიმინირებული/ამიღებული შენიშვნა N 14 დან და შენიშვნა N 17-დან.

შენიშვნა N 12 მოკლევადიანი და გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები

აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს აღებული აქვს შემდეგი სახის სესხები:

1. 2010 წლის 20 ივლისს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს შორის გაფორმდა ქვესასესხო ხელშეკრულება - „აჭარის მყარი ნარჩენების პროექტის“ განხორციელების მიზნით 3,000.00 ათასი ევროს ოდენობით, ბანკი EBRD, სამუშაოების მიმღები შპს აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია. ათვისებული - 3,000.00 ათასი ევროდან დარჩენილი გადასახდელი ძირითადი თანხა შეადგენს - 1,013.85 ათასი ევროს.

2. 2009 წლის 6 აპრილს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს შორის გაფორმდა ქვესასესხო ხელშეკრულება - „ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის II ფაზის პროექტთან დაკავშირებით“ განხორციელების მიზნით 6,700.00 ათასი ევროს ოდენობით. ბანკი KFW, სამუშაოების მიმღები ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია. ათვისებული - 6,700.00 ათასი ევროდან დარჩენილი გადასახდელი ძირითადი თანხა შეადგენს - 2,234.00 ათას ევროს.

3. 2019 წლის 8 აპრილს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს შორის გაფორმდა ქვესასესხო ხელშეკრულება - „აჭარის სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა, საქართველო“ განხორციელების მიზნით 40,000.00 ათასი ევროს ოდენობით. ბანკი KFW, სამუშაოების მიმღები სს აჭარის წყლის ალიანსი. ათვისებული - 10,989.43 ათასი ევროდან დარჩენილი გადასახდელი ძირითადი თანხა შეადგენს - 9,085.43 ათას ევროს.

4. 2023 წლის 6 ივნისს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს შორის გაფორმდა ქვესასესხო ხელშეკრულება - „აჭარის მყარი ნარჩენების პროექტის“ განხორციელების მიზნით 19,000.00 ათასი ევროს ოდენობით, ბანკი EBRD, სამუშაოების მიმღები შპს აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია. ათვისებული - 490.20 ათასი ევროდან დარჩენილი გადასახდელი ძირითადი თანხა შეადგენს - 490,204.81 ევროს.

შენიშვნა N13. კრედიტორული დავალიანებები, ანარიცხები და სხვა ვალდებულებები

ცნება და აღიარება

ვალდებულება არის ერთეული მიმდინარე მოვალეობა, რომელიც წარმოშობილია წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად, ხელშეკრულების, კანონმდებლობის ან კანონის სხვა მოქმედების საფუძველზე, რომლის შესრულება გულისხმობს მომავალში ერთეულიდან მომსახურების პოტენციალის ან ეკონომიკური რესურსების გადინებას. მიმდინარე მოვალეობა არსებობს მაშინ, როცა ადგილი ჰქონდა მავალდებულებელ მოვლენას წარსულში და არ არსებობს სხვა რეალისტური ალტერნატივა მისი დაფარვის გარდა. ერთეული ფინანსურ ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით. ვალდებულების მიმდინარე განსაზღვრისთვის არ ხდება გადახდების დისკონტირება მაშინაც კი, თუ ვალდებულების გადახდა გადავადებულია ჩვეულებრივი საკრედიტო პირობისგან განსხვავებული პირობით.

ჩამოწერა

ვალდებულების ჩამოწერა ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი დაიფარა, გაუქმდა ან ვადა გაუვიდა. იმ შემთხვევაში, თუ კონტრაქტის პირობები მნიშვნელოვნად შეიცვალა, ხდება ძველი ვალდებულების ჩამოწერა და ახალი ვალდებულების აღრიცხვა.

წარდგენა

ერთეული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში განცალკევებულად ასახავს ვალდებულებების მიმდინარე და გრძელვადიან ნაწილებს. ვალდებულების ნაწილი მიმდინარედ მიიჩნევა, თუ:

- ✓ მისი დაფარვა მოსალოდნელია ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ✓ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვის განმავლობაში;
- ✓ ერთეულს არ გააჩნია ვალდებულების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების ის პირობები, რომლის მიხედვითაც ვალდებულებების დაფარვა შესაძლებელია წილობრივი ინსტრუმენტების გამოშვების გზით, კონტრაგენტის სურვილის შესაბამისად, გავლენას არ ახდენს მის (ვალდებულებების) კლასიფიკაციაზე.

გრძელვადიანია ვალდებულების ნაწილი, რომელიც არ არის მიმდინარე.

სახაზინო სამსახურის მიერ საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის გადასახდელები არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით აღრიცხულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის (სსიპ) და არაკომერციული (არამომგებიანი) იურიდიული პირის (ა(ა)იპ) სტატუსის მქონე დაწესებულებების კომერციული საქმიანობით მიღებული ფულად სახსრებზე (საკუთარი სახსრები) ვალდებულებები.

სსიპ და ა(ა)იპ ახორციელებენ რა კომერციულ საქმიანობას ღებულობენ შემოსავლების სახით ფულად სახსრებს, რომლებიც ირიცხება ხაზინის ერთიან ანგარიშზე, თითოეული ამ ორგანიზაციებისათვის გახსნილ ქვეანგარიშებზე. აღნიშნული სახსრებს ეს ორგანიზაციები განკარგავენ ხაზინის მეშვეობით. შესაბამისად კომერციული საქმიანობით მიღებულ ფულად სახსრებზე ორგანიზაციებს გააჩნიათ მოთხოვნები 1-13-1230 - საბიუჯეტო ორგანიზაციების მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები ხაზინის მიმართ, არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით ეროვნულ ვალუტაში, ხოლო ხაზინას გააჩნია მიღებულ ფულად სახსრებზე აღნიშნული ორგანიზაციების მიმართ 2-13-1600 - ხაზინის მიერ საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის გადასახდელები არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით.

შენიშვნა N14. შემოსავლები არაგაცვლითი ოპერაციებიდან

შემოსავლების აღრიცხვა არაგაცვლითი ოპერაციებით რეგულირდება სსბას 23 – „შემოსავალი არაგაცვლითი ოპერაციებიდან“.

არაგაცვლითი ოპერაცია ისეთი ოპერაციაა, რომლის დროსაც სახაზინო სამსახური იღებს რესურსებს და სანაცვლოდ პირდაპირ არ იხდის, ან იხდის ნომინალურ საფასურს.

ავტონომიური რესპუბლიკას გააჩნია არაგაცვლითი ოპერაციებიდან მიღებული შემდეგი სახის შემოსავლები:

- ✓ საგადასახადო შემოსავლები (საკასო მეთოდით სახელმწიფო ხაზინა)
- ✓ ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო ქონების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის ნაწილი
- ✓ ფულადი და სასაქონლო გრანტები ;
- ✓ ნატურალური ფორმით მიღებული საქონელი, მომსახურება/შესრულებული სამუშაოები;
- ✓ შემოსავლები სანქციებით, ჯარიმებით და საურავებით - სანქციები და ჯარიმები ხელშეკრულების პირობების დარღვევისთვის;
- ✓ სადაზღვევო შემთხვევის შედეგად მიღებული ანაზღაურება.

არაგაცვლითი ოპერაციის შედეგად მიღებული აქტივის თავდაპირველი შეფასება ხორციელდება მისი მიღების თარიღისათვის არსებული რეალური ღირებულებით.

აქტივად აღიარებული არაგაცვლითი ოპერაციის შედეგად მიღებული რესურსი აღიარდება როგორც შემოსავალი, თუ არ არსებობს ვალდებულების აღიარების მოთხოვნა. შემოსავალი აღიარდება ვალდებულების შესრულების კვალდაკვალ.

როდესაც ხორციელდება ვალდებულებად აღიარებული მიმდინარე მოვალეობა, მაშინ მცირდება აღიარებული ვალდებულების საბალანსო ღირებულება და შემოსავალში აღიარდება ამ შემცირების ტოლი თანხა.

საგადასახადო

საგადასახადო შემოსავლები სახაზინო სამსახურის მიერ აღირიცხება საკასო მეთოდით სახაზინო ამონაწერის საფუძველზე.

სახელმწიფო ქონება

ავტონომიური რესპუბლიკის შემოსავალს ასევე წარმოადგენს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განთავსებული სახელმწიფო ქონების გაყიდვიდან და იჯაროდან მიღებული თანხის 35%, რომელიც ირიცხება ავტონომიურ ბიუჯეტში. აღნიშნული შემოსავლებს საკასო მეთოდით აღრიცხავს სახაზინო სამსახური და მიუხედავად იმისა, რომ ამ სახის შემოსავლები ირიცხება ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამის კოდებზე, ბუღალტრულ ჩანაწერებში ისინი აღრიცხულია, როგორც სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებისგან მიღებული გრანტები ფულადი ფორმით.

გრანტები

თანხის პირობით მიღებისას, თუ პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში თანხა ექვემდებარება უკან დაბრუნებას - არ აღიარდება შემოსავალი და აღიარდება ვალდებულება. შემოსავლის აღიარება ხდება პირობის შესრულების პროპორციულად და ამასთანავე შესაბამისი თანხით მცირდება ვალდებულების საბალანსო ღირებულება.

საჯარო სექტორის გარდა სხვა ორგანიზაციებიდან არაფულადი ფორმით მიღებული გრანტების შემთხვევაში ფორმდება მიღება ჩაბარების აქტი ან სხვა დოკუმენტი, სადაც გრანტის გამცემი უთითებს გადმოცემული აქტივის ღირებულებას. აქტივის აღიარება ხდება გრანტის გამცემის მიერ მითითებული ღირებულებით. თუ აქტივის ღირებულება განსაზღვრულია უცხოურ ვალუტაში, სამუშაო ვალუტაში მისი გამოსახვისთვის გამოიყენება მიღება-ჩაბარების აქტის ან სხვა დოკუმენტის შექმნის თარიღისთვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსი.

იმ შემთხვევაში, როცა დონორის მიერ უსასყიდლოდ გადმოსაცემი საქონლის შესყიდვის ღირებულება დასტურდება მხარეთა შორის გაფორმებული დოკუმენტაციის საფუძველზე და მხარე არის სახაზინო სამსახური და დგინდება მიღებული აქტივის თვითღირებულება, არ ხდება აქტივის შეფასება და შემოსავალი აღიარდება დოკუმენტაციაში მითითებული თანხით.

თუ ნატურალური ფორმით მიღებული მომსახურების ან შესრულებული სამუშაოების საიმედოთ შეფასება შეუძლებელია, ასეთ შემთხვევაში არ აღიარდება არც შემოსავლები და არც ხარჯები და მიღებულ მომსახურებასთან დაკავშირებით სახაზინო სამსახური ამჟღავნებს ინფორმაციას განმარტებით შენიშვნებში.

სახაზინო სამსახური აღრიცხავს საკასო მეთოდით ასევე გრანტებს რომლებიც ჩარიცხულია რესპუბლიკური ბიუჯეტში და მიღებულია ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფის დაწესებულებების მიერ.

პირგასამტეხლოები შემოსავლად აღიარდება, მაშინ, როდესაც სახაზინო სამსახური მოიპოვებს ფულადი სახსრების მოთხოვნის კანონიერ უფლებას, რაც შეიძლება მოხდეს სახაზინო სამსახურის მიერ გადაწყვეტილების გამოქვეყნებისას (მ.შ. წერილის გაგზავნისას) ან მაშინ, როდესაც დაგვიანებული გადახდა ან სხვა დარღვევა ავტომატურად იწვევს პირგასამტეხლოს დარიცხვას.

პირგასამტეხლო აღიარდება იმ შემთხვევაშიც, თუ პირგასამტეხლოს აკრეფა ხორციელდება ავტონომიური რესპუბლიკის სახელით, ანუ სახაზინო სამსახური მოქმედებს როგორც აგენტი.

მომწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევისთვის პირგასამტეხლოს დარიცხვის შემთხვევაში, პირველ რიგში ხდება მომწოდებლის მიერ პირგასამტეხლოს თანხის ავტონომიურ ბიუჯეტში გადახდა და შემდეგ სამინისტროს მიერ მომწოდებელთან წარმოქმნილი ვალდებულების გადახდა. პირგასამტეხლოს დაკისრების შემდეგ აღიარდება შემოსავალი და მოთხოვნა, ხოლო თანხის ჩარიცხვის შემდეგ მოთხოვნა შემცირდება ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულების შემცირების და ხარჯის აღიარების გზით.

შემოსავლების აღიარება სადაზღვევო კომპანიების მიმართ ხდება მაშინ, როდესაც აღნიშნული მოთხოვნის წარმომქმნელ სადაზღვევო შემთხვევას აქვს ადგილი და შესაბამისი უფლებამოსილი პირების მიერ შედგენილია და ხელმოწერილია ზარალის დარეგულირების აქტი.

სახაზინო სამსახური აღრიცხავს საკასო მეთოდით მხარჯავი დაწესებულებების მიერ არაგაცვლითი ოპერაციების შედეგად მიღებულ ფულად სახსრებს, ხოლო კონსოლიდაციის შედეგად მხარჯავი დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად ხდება შესაბამისი შემოსავლების ელიმინირება გაორების თავიდან აცილების მიზნით.

ანგარიშგებიდან ელიმინირებულია იმავე დონის სახელმწიფო ერთეულებიდან ფულადი და სასაქონლო ფორმით მიღებული გრანტები. ასევე ელიმინირებულია სრულად შემოსავლები შიდა ტრანსფერებით.

შენიშვნა N15. შემოსავლები გაცვლითი ოპერაციებიდან

შენიშვნა N15. შემოსავლები გაცვლითი ოპერაციებიდან, გარდა გრძელვადიანი აქტივების გასვლიდან მიღებული მოგება/(ზარალისა)

შემოსავლები გაცვლითი ოპერაციებიდან, გარდა გრძელვადიანი აქტივების გასვლიდან მიღებული მოგებისა მოიცავს;

- ✓ შემოსავლები საკუთრებიდან,
- ✓ შემოსავლები საქონლისა და მომსახურების გაყიდვებიდან,
- ✓ ტრანსფერები და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები.

შემოსავლები საკუთრებიდან მოიცავს;

- ✓ საპროცენტო შემოსავლები,
- ✓ დივიდენდებიდან შემოსავლები,
- ✓ რენტიდან შემოსავლები.

კონსოლიდაციის დროს ელიმინირებულია შემოსავლების ნაწილი ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად შენიშვნა 17-ში შიდა ტრანსფერებით ხარჯების ტოლფასი თანხების ოდენობით.

შენიშვნა N17. საოპერაციო ხარჯები

ხარჯების არსი და კლასიფიკაცია

ხარჯი წარმოადგენს საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში სახაზინო სამსახურის მიერ ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის შემცირებას, აქტივების გასვლის ან გამოყენების, ან ვალდებულების აღების გზით, რაც იწვევს წმინდა აქტივების/კაპიტალის შემცირებას.

სახაზინო სამსახური ხარჯს აღიარებს სხვას განსაზღვრული პირობების შესაბამისად. იგი წარმოიქმნება გაცვლითი და არაგაცვლითი ოპერაციებიდან, სხვა მოვლენებიდან როგორცაა ოპერაციების გარეშე აქტივების შემცირება, ვალდებულებების ზრდა, აქტივების მოხმარებიდან, ცვეთისა და მომსახურების პოტენციალის შემცირებისა და გაუფასურებების გამო ეკონომიკური სარგებლის წარმოქმნის უნარის შემცირების შედეგად. ხარჯი შეიძლება წარმოიქმნას ინდივიდუალური ოპერაციების ან ოპერაციათა ჯგუფების მეშვეობით.

ხარჯი აღიარდება ეკონომიკური მოვლენის მოხდენის თარიღით, მას შემდეგ რაც სახაზინო სამსახურს წარმოეშობა მიმდინარე მოვალეობა, რომლის შესრულება გულისხმობს მომავალში მომსახურების პოტენციალის ან ეკონომიკური რესურსების გადინებას. მიმდინარე მოვალეობა არსებობს მაშინ, როცა ადგილი ჰქონდა მავალდებულებელ მოვლენას წარსულში და არ არსებობს სხვა რეალისტური ალტერნატივა მისი დაფარვის გარდა.

სახაზინო სამსახური ხარჯების იდენტიფიკაციას ახდენს ეკონომიკური სახეების მიხედვით და აჯგუფებს მათ ეკონომიკური შინაარსის მიხედვით. არ ხდება მათი ფუნქციების მიხედვით გადანაწილება.

ხარჯი აღიარდება მომსახურების შესრულების სტადიის მიხედვით, იმ საანგარიშგებო პერიოდებში, რომლებშიც ხდება მომსახურების მიღება.

თუ შეუძლებელია მომსახურების მიღების ოპერაციის შედეგის საიმედოდ შეფასება, ხარჯი არ აღიარდება.

საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ მიღებული შემოსავლების გამოყენებასთან დაკავშირებით საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრული შეზღუდვების საფუძველზე, სახაზინო სამსახურის მიერ საბიუჯეტო ორგანიზაციების დაფინანსება საბიუჯეტო სახსრებით განიხილება როგორც ხარჯები შიდა ტრანსფერებით.

კონსოლიდაციის დროს ელიმინირებულია შიდა ტრანსფერებით ხარჯები ვინაიდან

1. ამ ანგარიშგებზე აღირიცხება ხაზინის მიერ საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის ბიუჯეტით განსაზღვრულის ასიგნებების ფარგლებში გაწეული დაფინანსება, ხოლო ორგანიზაციების მიერ შესაბამისი ასიგნებები აღირიცხულია საბიუჯეტო ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამის მუხლებში. გაორების თავიდან აცილების მიზნით შიდა ტრანსფერებით ხარჯები ელიმინირდება.

2. ორგანიზაციების მიერ ადმინისტრირებადი შემოსავლების ის ნაწილი რომელიც გადახდილია რესპუბლიკურ ბიუჯეტში აღირიცხება ხარჯად შიდა ტრანსფერების სახით, შესაბამისად კონსოლიდაციისას ელიმინირდება შემოსავლის შესაბამის ანგარიშგებთან მიმართებაში.

ელიმინირებულია იმავე დონის სახელმწიფო ერთეულებზე გადაცემული გრანტები, როგორც სასაქონლო ისე ფულადი ფორმით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ახორციელებს ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზებას. საგულისხმოა ის გარემოება, რომ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად პრივატიზებული ქონებიდან მიღებული შემოსავალი ნაწილდება

სახელმწიფო და ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტებს შორის (35 % სახელმწიფო ბიუჯეტი, 65 % ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი), შემოსავლის ის ნაწილი რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტში ირიცხება ანგარიშგებაში აღიარებულია როგორც ხარჯი სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებზე გაცემული ფულადი გრანტის სახით.

შენიშვნა N18 ასახული სხვადასხვა ხარჯების კატეგორია აერთიანებს კურსთა სხვაობის შედეგად ფლობიდან წარმოქმნილ ზარალს, ფლობის შედეგად გაწეული სხვა ზარალს, საექვო/უიმედო დებიტორული დავალიანებების ხარჯებს, მატერიალური მარაგების ღირებულების შემცირების ხარჯებს და სხვადასხვა ხარჯებს.

შენიშვნა N19 ფულადი სახსრები გადასახადებიდან - ასახულია ბიუჯეტის საკასო შესრულების მაჩვენებლები გადასახდების მიღებაზე სახეების მიხედვით.

ფაქტობრივი თანხებისა და საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობებიდან წმინდა ფულადი სახსრების შეჯერება (შედარება) შენიშვნა 21-თან დაკავშირებით ინფორმაცია

ბიუჯეტის და ფაქტიური თანხების შედარების ანგარიშგება ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსური ანგარიშგების ანგარიშვალდებულების და გამჭვირვალების გაზრდის მიზნით მზადდება და მოიცავს ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგებას, რომელშიც ბიუჯეტის „გეგმური“ და „ფაქტობრივი“ მონაცემები წარმოდგენილია საკასო მეთოდის შესაბამისად.

ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგების წარმოდგენილია მრავალსვეტიანი ფორმატის სახით, სადაც შემოსულობების და გადასახდელების თითოეული კატეგორიისათვის ცალ-ცალკეა მითითებული დამტკიცებული წლიური ბიუჯეტი, დაზუსტებული გეგმური მაჩვენებლები, ამ მაჩვენებლების ფაქტობრივი შესრულება და ფაქტობრივი შესრულების პროცენტული მაჩვენებელი.

ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგება მზადდება მხოლოდ საბიუჯეტო ასიგნებებთან დაკავშირებით. ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგების მიზნებისათვის, დამტკიცებული ბიუჯეტი ასახავს საბიუჯეტო წლის მანძილზე მოსალოდნელ საბიუჯეტო შემოსულობებს და გადასახდელებს, რომლებიც დამტკიცებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ. საბოლოო (დაზუსტებული) ბიუჯეტი მოიცავს საბიუჯეტო პერიოდში პროგრამების დასაფინანსებლად თავდაპირველად გამოყოფილი თანხების ყველა ნებადართულ ცვლილებას ან შესწორებას. ფინანსური ანგარიშგების ფულადი სახსრების ნაკადების მაჩვენებელი შეჩერებულია ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლებთან საბიუჯეტო კლასიფიკაციის მოთხოვნების და სსბასს პირობების შესაბამისად და განსხვავებები არ იკვეთება.

შენიშვნა: კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში არ არის გათვალისწინებული საცნობარო მუხლებში იცხული იმავე დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული და გაცემული მცირე ფასიანი და ძვირად ღირებული აქტივების ელიმი

N3. ინფორმაცია შეთანხმებების შესახებ, რომლის შედეგად შემცირდა დებიტორული დავალიანებები, თუმცა მყიდველებს განსაზღვრულ ვადაში არ შეუძლურებიათ ვალდებულებები

რიგითი N	შეთანხმების საფუძველი	პირგასამტეხლოს თანხა (ლარი)	შეთანხმების შინაარსი	ინფორმაცია ვალდებულების შესრულების შესახებ	შენიშვნა
1	მოხსენებითი ბარათი N 01-01-22.823 11.05.2023; შეთანხმების აქტი N 8 27.03.2023	318 727,28	შეთანხმებით პირი გათავისუფლდა ჯარიმის გადახდისგან იმ პირობით, თუ შეასრულებს ყველა ვალდებულებას; შპს ბიჯი თრედი; ხელშეკრულება 11.06.2012; ს/კ 05.36.24.120; სახაზინო კოდი: 300923287; საიდ. კოდი: 245629985	არ შესრულდა. შესრულების ვადად განსაზღვრული იყო 2023 წლის ოქტომბერი, თუმცა განმეორებით მოხდა გადავადება 16.05.2024 წ.	
2	მოხსენებითი ბარათი N 01-01-22.823 11.05.2023; შეთანხმების აქტი N 5 27.03.2023	52 624,00	შეთანხმებით პირი გათავისუფლდა ჯარიმის გადახდისგან იმ პირობით, თუ შეასრულებს ყველა ვალდებულებას; შპს გივა; ხელშეკრულება N 68 11.12.2017; ს/კ 05.30.10.272; სახაზ. კოდი: 300923287; საიდ. კოდი: 245592023	არ შესრულდა. შესრულების ვადად განსაზღვრული იყო 20.03.2023 წ.	
3	მოხსენებითი ბარათი N 01-01-22.1944 02.10.2023; შეთანხმების აქტი N 2 01.08.2023	17 510,00	შეთანხმებით პირი გათავისუფლდა ჯარიმის გადახდისგან იმ პირობით, თუ შეასრულებს ყველა ვალდებულებას; შპს ჯი ემ სი; ხელშეკრულება N 32 25.11.2020; ს/კ 05.32.06.263; ხაზინ: 300923287; საიდ. კოდი: 445503802	არ შესრულდა 01.01.2024 წ. შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციაში მიღება, სამინისტროს წერილი N01-01-10/1066 24.01.2024 მოთხოვნილია საბანკო გარანტიის თანხის ამოღება	მყიდველების მიერ ვადებულებები შესრულებული არ არის, თუმცა 2023 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 412,732 ლარით შემცირებულია დებიტორული დავალიანების ნაშთი, მათ შორის, ერთ შემთხვევაში 318,727 ლარის დავალიანების მქონე პირთან 2024 წელს ხელახლა გაფორმდა შეთანხმება და განესაზღვრა ხელშეკრულების პირობების შესრულების სხვა ახალი ვადა
4	მოხსენებითი ბარათი N 01-01-22.2280 20.11.2023; შეთანხმების აქტი N 8 16.11.2023	138,58 (მთავრობის N1529, 18.09.2023 წელი განკარგულებით პირგასამტეხლო შეადგენს 218,051 ლარს)	შეთანხმებით პირი გათავისუფლდა ჯარიმის გადახდისგან იმ პირობით, თუ შეასრულებს ყველა ვალდებულებას; შპს ელიტ სქიი რესორტი; ხელშეკრულება 20.05.2016; ს/კ 23.14.36.337; 23.14.36.393; 23.01.34.309; 23.01.34.310; კოდი: 300923287; საიდ. კოდი: 448050698	არ შესრულდა. უნდა დასრულებულიყო 30.12.2022 წ. კომპლექსის მშენებლობა, თუმცა განკარგულება და შეთანხმება გაკეთებულია 2023 წლის სექტემბერში	
5	მოხსენებითი ბარათი N 01-01-22.37 12.01.2024; შეთანხმების აქტი N 1 20.12.2023	23 733,00	შეთანხმებით პირი გათავისუფლდა ჯარიმის გადახდისგან იმ პირობით, თუ შეასრულებს ყველა ვალდებულებას; შპს მარპრო ლოჯისტიკს ჯორჯია; ხელშეკრულება N 17 27.10.2022; საკ/კოდი: 05.32.06.271; სახაზ. კოდი: 300923287; საიდ. კოდი: 415091796	არ შესრულდა. უნდა დასრულებულიყო 27.01.2024 მშენებლობის ნებართვის მიღება. ვალდებულება დაგვიანებით იქნა შესრულებული, გამოთხოვილია კომპანიის მიერ წარმოდგენილი საბანკო გარანტია	
		412 732,86			

N4. ინფორმაცია დებიტორული დავალიანებების შესახებ, რომლებზეც მიმდინარეობს სამართალწარმოება

რიგითი N	შეთანხმების საფუძველი	პირგასამტეხლოს თანხა (ლარი)	შეთანხმების შინაარსი	შენიშვნა
1	მოხსენებითი ბარათი N 01-01-22.2627 27.12.2023; ხელშეკრულება N 29 03.09.2021	11 772,00	შპს ციტრონ გრუპი ბათუმი; ხელშეკრულება N 29 03.09.2021; 23.14.36.233; სახაზ. კოდი: 300923287; №8202101230068 (დაყადაღებულია საბანკო ანგარიშები)	

2	მოხსენებითი ბარათი N 01-01-22.2627 27.12.2023; ხელშეკრულება N 28 03.09.2021	12 429,45	შპს ციტრონ გრუპი ბათუმი; ხელშეკრულება N 28 03.09.2021; 23.01.34.447; სახაზ. კოდი: 300923287; №8202101230068 (დაყადაღებულია საბანკო ანგარიშები)	მყიდველების მიერ დარღვეულია ხელშეკრულების პირობები, დარიცხულია პირგასამტეხლო 1,962,103 ლარი, შეწყვეტილია ხელშეკრულებები და მიმდინარეობს სასამართლო დავა, მათ შორის 3 შემთხვევაში 856,508 ლარის დავალიანების მოთხოვნა ქონებით არის უზრუნველყოფილი და შემცირებულია დებიტორული დავალიანების ნაშთი, ხოლო 5 შემთხვევაში 1,105,595 ლარის დავალიანების დაფარვაზე არ განხორციელდა ქონებით უზრუნველყოფა, რამაც გამოიწვია დებიტორული დავალიანების ნაშთის შემცირება.
3	მოხსენებითი ბარათი N 01-01-22.2627 27.12.2023; ხელშეკრულება N 14 20.07.2020	27 176,25	შპს ციტრონ გრუპი ბათუმი; ხელშეკრულება N 14 20.07.2020; ს/კ 23.14.36.294; სახაზინო კოდი: 300923287; N 820210 (დაყადაღებულია საბანკო ანგარიშები)	
4	მოხსენებითი ბარათი N 01-01-22.2627 27.12.2023; ხელშეკრულება N 18 11.08.2020	311 310,00	შპს ოლიმპი გრუპი; ხელშეკრულება N 18 11.08.2020; ს/კ 20.42.06.161; სახაზ. კოდი: 300923287; N 0102101230081783 (დაყადაღებულია მის საკუთრებაში არსებული ქონება)	
5	მოხსენებითი ბარათი N 01-01-22.2627 27.12.2023; ხელშეკრულება N 67 01.10.2021	28 355,00	შპს მართ ბილდინგ ქომფანი; ხელშეკრულება N 67 01.10.2021; NAT210014046; კოდი: 300923287; N 010210123007628595 (დაყადაღებულია საბანკო ანგარიშები)	
6	მოხსენებითი ბარათი N 01-01-22.2627 27.12.2023; საქმე N 010210123007665319	1 543,20	იაკობ ზვიადაძე; ს/კ 05.31.02.067.01.501; კოდი: 300923282; N 010210123007665319; საიდ. კოდი: 37001047064 (დაყადაღებულია მის საკუთრებაში არსებული ქონება)	
7	მოხსენებითი ბარათი N 01-01-22.2627 27.12.2023; ხელშეკრულება N 10 22.07.2022	1 025 862,50	შპს სმართ სითი ქობულეთი; ხელშეკრულება N 10 22.07.2022; საკ/კოდი: 20.42.11.284; სახაზ. კოდი: 300923287; N 01 (დაყადაღებულია საბანკო ანგარიშები)	
8	მოხსენებითი ბარათი N 01-01-22.2627 27.12.2023; საქმე N 010210123007829631. 2- 3720/23	543 655,35	როსტომ ბოლქვაძე; ზიანი; კოდი: 300923287; N 010210123007829631. 2- 3720/23; საიდ. კოდი: 61002002267 (დაყადაღებულია მის საკუთრებაში არსებული ქონება)	
	ჯამი	1 962 103,75		

N5. ინფორმაცია შეთანხმებების შესახებ, რომლის შედეგად შემცირდა დებიტორული დავალიანებები და განსაზღვრულია ვალდებულების შესრულების მრავალწლიანი პერიოდი

რიგითი N	შეთანხმების საფუძველი	პირგასამტეხლოს თანა (ლარი)	შეთანხმების შინაარსი	ვალდებულების შესრულების დრო	შენიშვნა
1	მოხსენებითი ბარათი N 01-01- 22.823 11.05.2023; შეთანხმების აქტი N 4 09.02.2023	2 675 980,70	შეთანხმებით პირი გათავისუფლდა ჯარიმის გადახდისგან იმ პირობით, თუ შეასრულებს ყველა ვალდებულებას; შპს ESCO-Georgia; ხელშეკრულება N 101147822 15.11.2010; საკ/კოდი: 20.42.17.033; 20.42.17.034; სახაზ. კოდი: 300923287; საიდ. კოდი: 415081422	09.02.2025 წელი	
2	მოხსენებითი ბარათი N 01-01- 22.823 11.05.2023; შეთანხმების აქტი N 8 23.02.2023	1 330 150,00	შეთანხმებით პირი გათავისუფლდა ჯარიმის გადახდისგან იმ პირობით, თუ შეასრულებს ყველა ვალდებულებას; შპს მზიური რეზორტ; ხელშეკრულება 16.09.2016; საკ/კოდი: 22.21.06.039; 22.21.06.040; სახაზ. კოდი: 300923287; საიდ. კოდი: 404462256	16.09.2025 წელი	
3	მოხსენებითი ბარათი N 01-01- 22.823 11.05.2023; შეთანხმების აქტი N 5 27.03.2023	71 487,50	შეთანხმებით პირი გათავისუფლდა ჯარიმის გადახდისგან იმ პირობით, თუ შეასრულებს ყველა ვალდებულებას; ანზორ ათაბაძე; ხელშეკრულება N 1 15.01.2020; ს/კ 20.42.07.466; სახაზ. 300923287; საიდ. კოდი: 61004056449	31.12.2025 წელი	

4	მოხსენებითი ბარათი N 01-01- 22.823 11.05.2023; შეთანხმების აქტი N 3 07.04.2023	313 235,00	შეთანხმებით პირი გათავისუფლდა ჯარიმის გადახდისგან იმ პირობით, თუ შეასრულებს ყველა ვალდებულებას; შპს საოჯახო მედიცინის რეგიონული ცენტრი; ხელშეკრულება N 2 22.01.2020; ს/კ 05.22.47.005.01.500; ხაზინა 300923287; საიდ. კოდი: 245428416	ხელშეკრულების გაფორმებიდან 54 თვე
5	მოხსენებითი ბარათი N 01-01- 22.823 11.05.2023; შეთანხმების აქტი N 1 23.02.2023	10 156,25	შეთანხმებით პირი გათავისუფლდა ჯარიმის გადახდისგან იმ პირობით, თუ შეასრულებს ყველა ვალდებულებას; შპს აისი სტატუს; ხელშეკრულება N 13 04.10.2022; საკ/კოდი: 23.14.35.122; სახაზ. კოდი: 300923287; საიდ. კოდი: 445610517	2040 წელი
6	მოხსენებითი ბარათი N 01-01- 22.1944 02.10.2023; შეთანხმების აქტი N 1 05.07.2023	39 887,80	შეთანხმებით პირი გათავისუფლდა ჯარიმის გადახდისგან იმ პირობით, თუ შეასრულებს ყველა ვალდებულებას; სს ენერგო პრო ჯორჯია; ხელშეკრულება N 03.02.2021; სახაზინ კოდი: 300923287; სხ/სხ მიწის ნაკვეთები ელექტროგადამცემი ხაზის მოსაწყობად; საიდ. კოდი: 205169066	03.02.2025 წელი
7	მოხსენებითი ბარათი N 01-01- 22.1944 02.10.2023; შეთანხმების აქტი N 3 29.09.2023	318 450,00	შეთანხმებით პირი გათავისუფლდა ჯარიმის გადახდისგან იმ პირობით, თუ შეასრულებს ყველა ვალდებულებას; შპს ლამინი; ხელშეკრულება N 1 06.01.2020; ს/კ 05.32.02.159; ხაზინა 300923287; საიდ. კოდი: 445533469	2069 წელი
8	მოხსენებითი ბარათი N 01-01- 22.1944 02.10.2023; შეთანხმების აქტი N 5 01.09.2023	9 709,00	შეთანხმებით პირი გათავისუფლდა ჯარიმის გადახდისგან იმ პირობით, თუ შეასრულებს ყველა ვალდებულებას; შპს გოლდმანი; ხელშეკრულება 08.08.2017; ს/კ 23.14.36.226; კოდი: 300923287; საიდ. კოდი: 445513070	08.08.2038 წელი
9	მოხსენებითი ბარათი N 01-01- 22.1944 02.10.2023; შეთანხმების აქტი N 2 29.09.2023	15 019,75	შეთანხმებით პირი გათავისუფლდა ჯარიმის გადახდისგან იმ პირობით, თუ შეასრულებს ყველა ვალდებულებას; შპს ფორესთ ვილლა; ხელშეკრულება N 13 13.07.2020; ს/კ 23.14.36.273; ხაზინა: 300923287; საიდ. კოდი: 445707218	28.12.2024 წელი
10	მოხსენებითი ბარათი N 01-01- 22.2057 19.10.2023; შეთანხმების აქტი N 3 11.10.2023	3 616,80	შეთანხმებით პირი გათავისუფლდა ჯარიმის გადახდისგან იმ პირობით, თუ შეასრულებს ყველა ვალდებულებას; შპს დალ კაპიტალი; ხელშეკრულება 27.06.2018; ს/კ 23.14.36.230; ხაზინა: 300923287; საიდ. კოდი: 445522783	31.11.2047 წელი
11	მოხსენებითი ბარათი N 01-01- 22.2057 19.10.2023; შეთანხმების აქტი N 3 11.10.2023	1 185,00	შეთანხმებით პირი გათავისუფლდა ჯარიმის გადახდისგან იმ პირობით, თუ შეასრულებს ყველა ვალდებულებას; შპს მწვანე ტბა; ხელშეკრულება N 27 16.11.2020; ს/კ 23.14.36.288; ხაზინა: 300923287; საიდ. კოდი: 448055568	30.05.2025 წელი
12	მოხსენებითი ბარათი N 01-01- 22.2057 19.10.2023; შეთანხმების აქტი N 4 04.10.2023	495 609,60	შეთანხმებით პირი გათავისუფლდა ჯარიმის გადახდისგან იმ პირობით, თუ შეასრულებს ყველა ვალდებულებას; შპს ეიჩ გრუპი; ხელშეკრულება N 42 23.08.2016; ს/კ 05.24.08.139; სახაზ. კოდი: 300923287; საიდ. კოდი: 445491138	01.10.2035 წელი
13	მოხსენებითი ბარათი N 01-01- 22.2057 19.10.2023; შეთანხმების აქტი N 1 29.09.2023	292 676,25	შეთანხმებით პირი გათავისუფლდა ჯარიმის გადახდისგან იმ პირობით, თუ შეასრულებს ყველა ვალდებულებას; შპს გრინ რეზორტი; ხელშეკ. 21.03.2019; 20.42.03.599; 20.51.01.341-380-377-072; 20.51.02.079-080-059-115; 300713389; სახაზ. კოდი: 300923287; საიდ. კოდი: 404	21.03.2054 წელი

14	მოხსენებითი ბარათი N 01-01-22.2495 14.12.2023; შეთანხმების აქტი N 5 16.11.2023	238 362,84	შეთანხმებით პირი გათავისუფლდა ჯარიმის გადახდისგან იმ პირობით, თუ შეასრულებს ყველა ვალდებულებას; შპს ROYA; ხელშეკრულება 27.07.2016; საკ. კოდი: 21.06.32.219; სახაზ. კოდი: 300923287; საიდ. კოდი: 445408158	30.08.2025 წელი
15	მოხსენებითი ბარათი N 01-01-22.37 12.01.2024; შეთანხმების აქტი N 2 20.12.2023	26 091,00	შეთანხმებით პირი გათავისუფლდა ჯარიმის გადახდისგან იმ პირობით, თუ შეასრულებს ყველა ვალდებულებას; შპს კარი; ხელშეკრულება N 22 12.11.2020; ს/კ 05.32.06.248; ხაზინ: 300923287; საიდ. კოდი: 448054211	12.05.2024 წელი
16	მოხსენებითი ბარათი N 01-01-22.2057 19.10.2023; შეთანხმების აქტი N 4 04.10.2023	1 872 633,75	შეთანხმებით პირი გათავისუფლდა ჯარიმის გადახდისგან იმ პირობით, თუ შეასრულებს ყველა ვალდებულებას; შპს ეიზ გრუპი; ხელშეკრულება N 42 23.08.2016; ს/კ 05.24.08.139; სახაზ. კოდი: 300923287; საიდ. კოდი: 445491138 (695500 აშშ x 2,6925 ლარი (19.10.2023 კურსი))	31.12.2035 წელი
		7 714 251,24		

N6. ინფორმაცია სხვა დანარჩენი შეთანხმებების შესახებ, რომლის შედეგად შემცირდა დებიტორული დავალიანებები

რიგითი N	შეთანხმების საფუძველი	პირგასამტეხლოს თანხა (ლარი)	შეთანხმების შინაარსი	შენიშვნა
1	მოხსენებითი ბარათი N 01-01-22.1944 02.10.2023; შეთანხმების აქტი N 2 01.08.2023	9 295,00	შეთანხმებით პირი გათავისუფლდა ჯარიმის გადახდისგან იმ პირობით, თუ შეასრულებს ყველა ვალდებულებას; შპს ნიუ ტექნიკ ჯგუფი; ხელშეკრულება N 5 20.04.2021; 05.32.06.249; სახაზინო კოდი: 300923287; საიდ. კოდი: 445591057	
2	მოხსენებითი ბარათი N 01-01-22.1944 02.10.2023; შეთანხმების აქტი N 2 01.08.2023	6 624,00	შეთანხმებით პირი გათავისუფლდა ჯარიმის გადახდისგან იმ პირობით, თუ შეასრულებს ყველა ვალდებულებას; შპს ნიუ ტექნიკ ჯგუფი; ხელშეკრულება N 15 02.06.2021; 05.32.06.247; სახაზინო კოდი: 300923287; საიდ. კოდი: 445591057	
3	მოხსენებითი ბარათი N 01-01-22.1944 02.10.2023; შეთანხმების აქტი N 2 01.08.2023	2 953,50	შეთანხმებით პირი გათავისუფლდა ჯარიმის გადახდისგან იმ პირობით, თუ შეასრულებს ყველა ვალდებულებას; შპს ნიუ ტექნიკ ჯგუფი; ხელშეკრულება N 12 02.06.2021; 05.32.06.250; სახაზინო კოდი: 300923287; საიდ. კოდი: 445591057	
4	მოხსენებითი ბარათი N 01-01-22.1944 02.10.2023; შეთანხმების აქტი N 1 27.07.2023	15 610,00	შეთანხმებით პირი გათავისუფლდა ჯარიმის გადახდისგან იმ პირობით, თუ შეასრულებს ყველა ვალდებულებას; შპს ნეს სიტი, ხელშეკრულება N 2 01.03.2023; საკადასტრო კოდი: 20.42.01.564, სახაზ. კოდი: 300923287; საიდ. კოდი: 446985790	
5	მოხსენებითი ბარათი N 01-01-22.1944 02.10.2023; შეთანხმების აქტი N 1 05.07.2023	34 645,00	შეთანხმებით პირი გათავისუფლდა ჯარიმის გადახდისგან იმ პირობით, თუ შეასრულებს ყველა ვალდებულებას; შპს აღმშენებლობა-ს.მ.ბ.; ხელშეკრულება N 46 20.12.2021; ს/კ 05.32.06.285; ხაზინა: 300923287; საიდ. კოდი: 245433829	
6	მოხსენებითი ბარათი N 01-01-22.1944 02.10.2023; შეთანხმების აქტი N 1 05.07.2023	6 603,00	შეთანხმებით პირი გათავისუფლდა ჯარიმის გადახდისგან იმ პირობით, თუ შეასრულებს ყველა ვალდებულებას; შპს ბონდი-2009; ხელშეკრულება 24.10.2013; საკ კოდი: 22.28.06.047; სახაზინო კოდი: 300923287; საიდ. კოდი: 245626470	
7	მოხსენებითი ბარათი N 01-01-22.2057 19.10.2023; შეთანხმების აქტი N 1 29.09.2023	37 224,00	შეთანხმებით პირი გათავისუფლდა ჯარიმის გადახდისგან იმ პირობით, თუ შეასრულებს ყველა ვალდებულებას; შპს ჩელები გროუპ 2022; ხელშეკრულება N 1 11.03.2022; საკ/კოდი: 05.32.06.286; სახაზ. კოდი: 300923287; საიდ. კოდი: 445618555	
8	მოხსენებითი ბარათი N 01-01-22.2288 21.11.2023; შეთანხმების აქტი N 4 21.09.2023	120 689,92	შეთანხმებით პირი გათავისუფლდა ჯარიმის გადახდისგან იმ პირობით, თუ შეასრულებს ყველა ვალდებულებას; შპს ახალი ვენეცია; ხელშეკრულება 14.09.2012; ს/კ 05.21.35.004.01.505; 05.21.35.004.01.503;	

			05.21.35.004.01.500; სახაზ. კოდი: 300923287; საიდ. კოდი: 4454267	
9	მოსხენებითი ბარათი N 01-01-22.2495 14.12.2023; შეთანხმების აქტი N 3 11.12.2023	28 083,00	შეთანხმებით პირი გათავისუფლდა ჯარიმის გადახდისგან იმ პირობით, თუ შეასრულებს ყველა ვალდებულებას; მაქსიმ ხარევიჩ და რუსლან აბლიაკიმოვ; ხელშეკრულება N 25 16.11.2020; ს/კ 22.29.01.273; საზინ: 300923287; საიდ. კოდი: MP3810497; U35471656	
		261 727,42		

კონსოლიდირებული ერთეულები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს
სახაზინო სამსახური.

სსიპ – ბათუმის ბულვარი.

ა(ა)იპ – ბათუმის ბიზნესინკუბატორი.

სსიპ – ტექნიკური და სამშენებლო ლაბორატორია.

სსიპ – აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების
დეპარტამენტი.

ა(ა)იპ – ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტო.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზების დეპარტამენტი.

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის
სამინისტრო.**

ა(ა)იპ – აჭარის განათლების ფონდი.

ბათუმის რესურსცენტრი.

ქობულეთის რესურსცენტრი.

ხელვაჩაურის რესურსცენტრი.

ქედის რესურსცენტრი.

შუახევის რესურსცენტრი.

ხულოს რესურსცენტრი.

ა(ა)იპ – მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ხელოვნების სკოლა.

ა(ა)იპ – ქ. ბათუმის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლა.

ა(ა)იპ – ქ. ბათუმის რევაზ ლალიძის სახელობის სამუსიკო სკოლა.

ა(ა)იპ – ქ. ბათუმის ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის კლასიკური ბალეტის
სკოლა.

ა(ა)იპ – აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლა.

ა(ა)იპ – ნიკოლოზ კანდელაკის სახელობის სამხატვრო სკოლა.

ა(ა)იპ – ქ. ბათუმის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე.

ა(ა)იპ – მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლე.

ა(ა)იპ – ქ. ბათუმის საჩოგბურთო კომპლექსი.

ა(ა)იპ – აჭარის მწერალთა სახლი.

ა(ა)იპ – ძალოსნობის კომპლექსი.

ა(ა)იპ – თანამედროვე ხელოვნების სივრცე.

სსიპ – აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო.

სსიპ – აჭარის მუზეუმი.

სსიპ – ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი.

სსიპ – აჭარის მელიტონ კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „არსიანი“.

სსიპ – ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრი.

სსიპ – ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრი.

სსიპ – აჭარის სახელმწიფო ვოკალური ანსამბლი „ბათუმი“.

სსიპ – აჭარის ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი „ხორუმი“.

სსიპ – ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი.

სსიპ – ხულოს პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო სამმართველო.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

სსიპ – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი.

სსიპ – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

ა(ა)იპ – აგროსერვის ცენტრი.

სსიპ – ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო.

სსიპ – აჭარის სატყეო სააგენტო.

საკონტაქტო ინფორმაცია

ვებგვერდი და სოციალური მედია

<https://www.sao.ge/>
<https://www.budgetmonitor.ge/ka>
<http://www.blog.sao.ge/>
<http://www.sai.ge/main/>
<https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/>
<https://www.youtube.com/user/saogeorgia>
<https://www.facebook.com/www.sao.ge>

ცხელი ხაზი

(+995 32) 243 81 81

ელექტრონული ფოსტა

sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE